ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 23 ივნისი, 2020 №134 (8398) ფასი: 60 თეთრი

დააკავეს 2 პირი, რომლებმაც 1 ბანკს 3,5 მილიონი ლარის ზარალი მიაყენეს

გიორგი შაქარაშვილის ცხედარი მყვინთავებმა წყალში იპოვეს

მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა



რა მოხდა საგურამოს აგარაკზე დაბადების დღის წვეულებაზე

„თუ ივანიშვილი 8 მარტის შეთანხმების ორივე ნაწილს დაარღვევს, ნახოს, რაც მოუვა“

აკაკი ბობოხიძე: „გავრილოვთან ერთად ორი ერის მეგობრობაზე სადღეგრძელოებს კობახიძე სვამდა და ორივეს ერთად „მოვიკითხავ“

„დეპუტატობისთვის პოლიტიკოსები ყველაფერს კადრულობენ“

დავით ჭიჭინაძე: „მარგველაშვილს კიდევ დარჩა მოსაქსოვი, კვირიკაშვილიც დაბრუნდება“

„თაკო ჩარკვიანის საკითხი ცალკე გადაწყდება“

მამუკა გამყრელიძე: „ოცნებამ „ევროპული საქართველო“ წამოიკიდა“

შალვა შავგულიძე: „ჩვენ და „ევროპული საქართველო“ ბლოკით გამოვალთ არჩევნებზე“

გიგლა ბარამიძე: „მაჟორიტარობის კანდიდატი შეიძლება რეგიონების მხოლოდ ერთ ოლქში გვყავდეს“



თბილისში ნარკოდანაშაულისთვის უკრაინის 3 მოქალაქე დააკავეს

ISSN 1987-9385

2 სკოლები ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე გადადიან

2 ცოტნე გამსახურდია ყოველ დილას რობოტის საშუალებით გადაადგილდება

5 ბ.ა.-მ, ო.კ.-მ და დ.ქ.-მ იტალიური და ნორვეგიული კომპანიების კუთვნილი 134.962 ევრო მიითვისეს

6 დასავლეთი პუტინის სტატიას აკრიტიკებს

„თაკო ჩარკვიანის საკითხი ცალკე გადაწყდება“

მამუკა გამყრელიძე: „ოცნებამ“ „ევროპული საქართველო“ წამოიკიდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორც იქნა, შეთანხმდა ოპოზიცია და ერთიანი მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა. დასრულდა დაპირისპირება ოპოზიციურ ფლანგზე? რა მოლოდინი გქონდათ და რა გაგრძელებას ელით?

– სიმართლე გითხრათ, ნაკლებად ველოდი იმას, რომ მოხდებოდა შეთანხმება, მაგრამ მოხდა და ეს კარგია.

– რამდენად იყო გათვალისწინებული ყველა ოპოზიციური პარტიის პოზიცია, როდესაც მაჟორიტარები დასახელდა?

– იცით რა, ყველა პარტიას ჰქონდა შესაძლებლობა, წარედგინა თავისი კანდიდატი. მე ძალიან გამიკვირდა, რომ გირჩმა არ წარადგინა თავისი კანდიდატი, თუმცა ისინი მხარს უჭერენ ამ კანდიდატებს. მათ შეეძლოთ საბურთალოზე ძალიან წარმატებულად ზურა ჯაფარიძის კანდიდატურა დაესახელებინათ. ლელომ შეიკავა თავი მხარდაჭერისგან და გადაწყვიტა, ცალკე გავიდეს. ასევე ელისაშვილმაც, რომელმაც ცალკე წასვლა ამჯობინა. უკიდურესად მძაფრი შეფასებები გააკეთა. აღბათ პოლიტიკურად სწორად მოიქცა, რადგან მისი ამომრჩეველი ზუსტად ასეთია. ყველას ინტერესი იყო გათვალისწინებული და ეს ორი ადგილი სწორედ იმიტომ არსებობს იქ თავისუფალი. მაგალითად, თაკო ჩარკვიანმა თქვა, მიიღებს მონაწილეობას საბურთალოზე, მაგრამ ეს არ გაუჟღერებია იმ შეხვედრაზე. მოგვიანებით ცალკე გააჟღერა.

– როდესაც საუბრობთ, რომ ორი ადგილია თავისუფალი მაჟორიტარებში, ამას გულისხმობთ, რომ ერთს ჩარკვიანი შეავსებს?

– არ ვიცი, მან დამოუკიდებლად გააკეთა ეს განცხადება და არ ვიცი, რას აპირებს. ამაზე შეთანხმება საერთო ჩატშიც კი არ მომხდარა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას მხარს არ დავუჭერთ. რატომაც არა, მაგრამ რადგან შეთანხმებული კანდიდატი არ იქნება, შეიძლება იქ ყველამ თავისი კანდიდატი დააყენოს. ჯერ კარი არ დახურულა, კონსულტაციები გაგრძელდება. ძალიან საინტერესო და კარგი პროცესია.

– ეს დაპირისპირება, კინკლაობა და ასე შემდეგ, ეს პროცესი დასასრულისკენ მიდის?

– რას ნიშნავს კინკლაობა? რა ფორმატშიც ვართ შალვა ნათელაშვილთან შეკრებილები, ნამდვილად არ ყოფილა განსაკუთრებული დაპირისპირება. კი, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ კინკლაობა და უხეში გამოხდომები არ ყოფილა. ელისაშვილმაც ბოლოს გააკეთა ეს მძაფრი განცხადებები, მანამდე არ აკეთებდა.

– რა ხდება გაერთიანებაში „ძალა ერთობაშია“? ყველა აქ ხართ ერთად, ნათელაშვილის ფორმატში?

– არა, რა თქმა უნდა. ეს გაერთიანება კვლავაც რჩება. გუშინაც შეკრებილები ვიყავით „ძალა ერთობაშიას“ ოფისში.

– თქვენ კიდევ ცალკე კანდიდატები გეყოლებათ?

– არა. თბილისის 8 ადგილზე გვეყოლება ეს ერთიანი მაჟორიტარები, რომლებიც დასახელდა. თუ საბურთალოზე დაემატება თაკო ჩარკვიანი, ეს უბრალოდ შეთანხმების საკითხი უნდა იყოს. იმ ფორმატში ყველა გამოვდივართ ჩვენ ჩვენი ორგანიზაციების სახელით. რაც შეეხება რეგიონებს, რეგიონებში „ძალა ერთობაშიას“ ეყოლება თავისი კანდიდატურები.

– კვირას, პარლამენტმა კენჭი უყარა საკონსტიტუციო ცვლილებებს პირველი მოსმენით. „ევროპულმა საქართველომ“ ბოლო დღეს შეცვალა გადაწყვეტილება და მხარი დაუჭირა. იყო მოლოდინი, რომ ნაციონალებიც მიიღებდნენ კენჭისყრაში მონაწილეობას, მაგრამ მათ არ შეცვალეს საკუთარი პოზიცია. ამ პროცესს როგორ აფასებთ, რამდენად წინგადადგმული ნაბიჯია?

– ეს არის იძულებით გადადგმული ნაბიჯი. ძალიან მკვეთრად იყო გაცხადებული ყველა ოპოზიციური პარტიის მხრიდან, რომ ახლა შეყოლა ხელისუფლებასთან ამ პროცესში არ შეიძლებოდა. მან უნდა შეასრულოს თავისი ნაკისრი ვალდებულება ორივე ნაწილში. მარტო რურუას გამოშვებას არ ეხება საქმე.

– კიდევ რას?

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომდევნო დროში და წინასაარჩევნო პერიოდში არ მოხდეს პოლიტიკური დევნა.

– ანუ იმის თქმა გსურთ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მეტი პრინციპულობა გამოიჩინა და „ევროპულმა საქართველომ“ – არა?

– მოდით, ასე ვთქვათ, ბოლო წუთამდე ხელისუფლება სპეკულირებდა ამით, რომ იცით, მე არა მაქვს საკმარისი ხმები, იმ მომენტში რომ არ მიეღო ასეთი გადაწყვეტილება „ევროპულ საქართველოს“, რომ არ გამოეჩინა პრაგმატულობა და პრინციპულობას გაჰყოლოდა, არ გამოვრიცხავ, რომ ჩაეგდოთ. თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ საკმარისად ჰყოლიათ დეპუტატები.

– აცხადებენ კიდეც, მეორე და მესამე მოსმენით თავისუფლად დავამტკიცებთ ოპოზიციის მონაწილეობის გარეშეცო.

– დიახ, ასეა. ჩემი აზრით, ეს იყო ერთგვარი ფანდი ხელისუფლების მხრიდან. ასე ვთქვათ, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტია, ანუ ევროპელები, „წამოიკიდეს“.

– ანუ უნდოდათ, რომ „გაეპრავებინათ“ ეს პროცესი, რომ აი ოპოზიციაც მხარს უჭერს კანონპროექტსო?

– დიახ, რა თქმა უნდა. ძალიან უხეში, ღია, ასე აშკარად რომ ჩანს, ისეთი სპეკულაცია იყო. სხვას რას მოველით ჩვენ ამ ხელისუფლებისგან. ეს განცხადებები სრულიად გულსამრევი და აცდენილია ყოველგვარ რეალობას. რა ვუყოთ, რაც გვაქვს, ეს გვაქვს.

– რა მოლოდინი გაქვთ?

– მოლოდინი მაქვს იმის, რომ იქნება ძალიან მძიმე დაპირისპირება. მოლოდინი მაქვს იმისი, რომ დიდი უპირატესობით გამარჯვება შეუძლებელი იქნება ნებისმიერი მხარისათვის. ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისი, რომ საზოგადოებაში ჭარბი იქნება სიბრძნე და არა სიხარბე. ვფიქრობ, რომ სწორ არჩევანს გააკეთებენ და სწორედ ოპოზიციას მისცემენ ხმას.

მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ოპოზიციას. გაერთიანებული ოპოზიცია იქნება ეს, ლელო იქნება თუ ელისაშვილი. მთავარია, რომ უნდა მოხდეს იმ დემოკრატიული ნაბიჯების გაგრძელება, რასაც ხელისუფლების მონაცვლეობა ჰქვია.

ამ ხელისუფლებამ უკვე ამოწურა თავისი რესურსი. ეს უკვე კადრებზეც ჩანს. აღარ ჰყავთ კადრები, აღარ აქვთ ახალი ენერგია, დრაივი და საჭიროა, რომ ცვლილება მოხდეს და ოპოზიციურმა პარტიებმა თავისი ენერგია შემატონ დემოკრატიზაციის პროცესს. მე ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს.

– ბატონო მამუკა, თქვენ კოალიციური მთავრობის მოლოდინი გაქვთ?

– მე მოლოდინი მაქვს, რომ ოპოზიციას ეყოლება კოალიციური მთავრობა. მე მოლოდინი მაქვს იმის, რომ ხელისუფლება ვერ მოახერხებს 50%-ის გადალახვას. ოპოზიცია კი შეძლებს 50%-ზე მეტის აღებას.

– ანუ თქვენი მოლოდინია, რომ „ოცნება“ მარცხდება?

– რას ნიშნავს მარცხდება? ხელისუფლება შეიცვლება.

სკოლები ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე გადადიან

გამომცემლობებს ელექტრონული წიგნების მომზადება დაევალათ

განათლების სამინისტრომ გამომცემლობებს 2020-2021 სასწავლო წლისთვის ელექტრონული წიგნების მომზადების დავალება მისცა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავად გამომცემლობებში განუცხადეს. მათი განმარტებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან ონლაინ შეხვედრა გამართეს, რომელზეც სწორედ ონლაინ სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა განიხილეს.

უფრო კონკრეტულად, როგორც „პალიტრა ელ-ის“ დირექტორმა თიკო ასათიანმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, გამომცემლობების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სექტემბრიდან მოსწავლეებისთვის კვლავ ონლაინ რესურსებით სწავლების გაგრძელება განიხილება.

– ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ ბეჭდური წიგნი არ იყოს. ერთი მხრივ, ცუდია ბავშვებისთვის კომპიუტერთან მიჯაჭვულობა და მეორე მხრივ, თუ თავიდანვე არ მივაჩვიეთ ბავშვი წიგნთან ურთიერთობას, მერე და მერე სულ „გაჯეტებზე“ იქნება დამოკიდებული. ასევე, გამომცემლობები და ავტორები იყვნენ უკმაყოფილო, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში ანაზღაურება. იყო საუბარი, რომ რამდენ გვერდსაც გახსნიან და ჩამოტვირთავენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, იმის მიხედვით იქნება ანაზღაურება. აქ საფრთხე ისაა, რომ ერთი პდფ ფაილი თუ გავრცელდა, თავიდან არავინ ჩამოტვირთავს და ამის კონტროლი რთული იქნება. ეს პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ უმთავრესი პრობლემა მაინც ის არის, რომ ბავშვები უნდა დავაშოროთ წიგნებს.

იყოს დისტანციური სწავლება თუ სხვა გზა არ იქნება, მაგრამ ბავშვს უნდა ჰქონდეს წიგნში თითის გაყოლების საშუალება. ბავშვმა რვეულში უნდა შეავსოს დავალება და არა კომპიუტერში, კლავიატურაზე. წიგნთან ურთიერთობა ბავშვს უნდა ჰქონდეს. გაკვეთილები კომპიუტერში და დავალებებიც კომპიუტერში?! ამაშია საქმე, – აღნიშნა თიკო ასათიანმა.



რაც შეეხება სხვა გამომცემლობებს, „ინტერპრესნიუსი“ „დიოგენეს“ ხელმძღვანელ თამარ ლებანიძესაც ესაუბრა, რომლის თქმითაც, გამომცემლობა მზადაა სწავლის დაწყებამდე მოსწავლისთვის ონლაინ რესურსის შექმნა მოასწროს.

– რა თქმა უნდა, ეს საკითხი დგას დღის წესრიგში, რადგან არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები ვირუსის გამო. მუშაობა ჯერჯერობით არ დაგვიწყია, სამინისტროსთან ერთად განხილვის რეჟიმში ვართ. პერიოდულად იქნება ონლაინ შეხვედრები ამ საკითხთან დაკავშირებით. მე, როგორც რიგითი მოქალაქე და სკოლის გულშემატკივარი, იმედს ვიტოვებ, რომ სწავლა სრულფასოვნად განახლდება. ჯერჯერობით დეტალურად არ გვისაუბრია სამინისტროსთან, თუმცა, სავარაუდოდ, ყველა კლასისთვის იქნება ონლაინ სახელმძღვანელოები. ამაზე არანაირი მკაფიო პოზიცია არაა ჩამოყალიბებული, ფასიანი იქნება თუ უფასო. სავარაუდოდ, ხელმისაწვდომობა უფასოდ შენარჩუნდება საჯარო სკოლებისთვის, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, რამდენადაც ვიცი.

ერთი შეხვედრა გვქონდა ონლაინ რეჟიმში, სავარაუდოდ, მეორე შეხვედრა გაიმართება ამ კვირაში. ერთადერთი, რაც ვიცი, მომდევნო შეხვედრაზე განვიხილავთ ყველა შესაძლო ვარიანტს, ყველა იმ წინადადებას, რაც სამინისტრომ მოამზადა და რა შეთავაზებაც გარედან ჰქონდა, კომპანიების მხრიდან. სიმართლე რომ გითხრათ, წმინდა ინტუიციური თვალსაზრისით და არა ფაქტებიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია შერეული ვერსია იყოს. არსებობდეს ბეჭდური სახელმძღვანელო, რომელსაც დაურიგებენ საჯარო სკოლის მოსწავლეებს და კერძო სკოლები შეისყიდიან, როგორც ეს აქამდეც იყო და პარალელურად გაგრძელდეს ონლაინ სწავლებაც, რომელიც, რასაკვირველია, იქნება უფრო დახვეწილი, – განაცხადა თამარ ლებანიძემ.

რაც შეეხება უშუალოდ პირველკლასელებს, თამარ ლებანიძის თქმით, საზოგადოებაში ბევრი მოდელი განიხილება, მათ შორის, ის, რომ სწავლა ონლაინ რეჟიმში განახლდეს ყველა კლასის მოსწავლისთვის, გარდა პირველკლასელებისა.

ცოტნე გამსახურდია ყოველ დილას რობოტის საშუალებით გადაადგილდება

ცოტნე გამსახურდიას მეუღლის ანა ჯაბაურის განცხადებით, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით დადებითი დინამიკაა, რაც მის მკურნალ ექიმებსაც აიმედებს. ამის შესახებ ანა ჯაბაური სოციალურ ქსელში წერს.

მისივე ინფორმაციით, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში ცოტნე გამსახურდიას სამკურნალოდ ევროპის ერთ-ერთ წამყვან ნეირო-სარეაბილიტაციო ცენტრში გადაიყვანენ.

„მართალია, ე.წ. რობოტზე დგას და მისი საშუალებით გადაადგილდება ყოველ დილას, მაგრამ ესეც წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენთვის. მისი გამხდარი პირისახეც ექიმების მიერ გამიზნულად დანიშნული კვების რაციონის შედეგია – მისთვის ზედმეტი წონა მავნებელია ახლა. ჯერ დამოუკიდებლად სიარული არ შეუძლია. არც ლაპარაკობს. თუმცა, მისი დაზიანებების ხარისხისა და რაოდენობის გათვალისწინებით, სასწაულია, რომ საერთოდ ცოცხალია.

თურქეთში მენინგიტით გართულებული ღრმა კომით გადმოიყვანეს. არ ვიცი ნებისყოფამ, ექიმებმა, განგებამ თუ ყველაფერმა ერთად იმუშავა – გადარჩა. მას შემდეგ მუდმივ ბრძოლაში ვართ და ყოველ მიზერულ გამარჯვებასაც კი ბედნიერები ვზეიმობთ მე, გიორგი, ანი (გიორგის არაჩვეულებრივი მეუღლე) და კონსტანტინე. ან ვის გვაქვს უფლება იოტისოდენა პესიმიზმის გამოვლენისა, როცა ერთმნიშვნელოვნად იგრძნობა, რამხელა ძალას აძლევს ცოტნეს ახლობლების რწმენა და ოპტიმიზმი.

დღევანდელი ჩემი პოსტის მიზანიც, გარდა ცოტნეს გულშემატკივართა ნუგეშისცემისა, არის სწორედ თქვენი ის პოზიტიური ენერგია, რომელიც ასე სჭირდება ცოტნეს და რომელსაც ის ახლა თქვენგან მიიღებს – საღამოობით მე მას თქვენ მიერ მოწერილ უთბილეს მოკითხვებს ვუკითხავ ხოლმე.

ვერავინ გვეუბნება ზუსტ დროსა და პროგნოზს, კიდევ რამდენი ხანი მოგვიწევს საბრძოლო ვითარებაში ყოფნა, მაგრამ არსებული დადებითი დინამიკა მის მკურნალ ექიმებსაც აიმედებს.

სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში ევროპის ერთ-ერთ წამყვან ნეირო-სარეაბილიტაციო ცენტრში გადავალთ. საჰაერო გზები გაიხსნა და ამაზე უკვე ზრუნავს ხალხი, რომელიც პირველივე დღიდან ცოტნეს გამოჯანმრთელებისთვის ბრძოლაში ჩვენ გვერდითაა.

ბრძოლას ვაგრძელებთ. იმედიანად ყოფნასაც“ – წერს ჯაბაური.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდია 2019 წლის, 19 დეკემბერს დაჭრეს. მას თავდაპირველად, ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობდნენ, შემდეგ კი თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს. გამსახურდიას დაჭრის ფაქტზე 4 პირია დაკავებული.

„ქართული ოცნება“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ივლისში წარადგენს

„ქართული ოცნება“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ივლისში წარადგენს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ განუცხადა.

– ჩვენ ივლისში უკვე წარვადგენთ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. ეს გადაწყვეტილება პოლიტსაბჭოს მიერ იქნება მიღებული და, შესაბამისად, ივლისის თვიდან უკვე აქტიურად გავლენ ჩვენი მაჟორიტარები იმისათვის, რომ დაიწყონ მოსახლეობასთან შეხვედრები. ანუ სრულფასოვანი საარჩევნო კამპანია დაიწყება უკვე ივლისის თვეში. ეს არის ჩვენი გეგმა, – განაცხადა კობახიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შალვა შავგულიძე: „ჩვენ და „ევროპული საქართველო“ ბლოკით გამოვალთ არჩევნებზე“

„გვინდა, რომ ერთ ოლქში მაინც არა პოლიტიკოსი, არამედ საზოგადოებრივი პერსონა წარვადგინოთ“

იავო ნაცვლიშვილი

ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ლეიბორისტების ოფისში მოლაპარაკების მაგიდასთან სხედან, თბილისის 6 ოლქში მაჟორიტარების საერთო კანდიდატებზე შეთანხმდნენ. ოპოზიციის სახელით ვაკეში ელენე ხოშტარია იბრძოლებს, გლდანში — ნიკა მელია, სამგორში — ლევან ხაბეიშვილი, მთაწმინდაზე — შალვა შავგულიძე, ისანში — გიორგი ვაშაძე, ხოლო ნაძალადევში შალვა ნათელაშვილი. მათ ამ დროისთვის ღიად დატოვეს თბილისის ორი ოლქი — საბურთალო და ჩუღურეთი.

ოპოზიციური შეთანხმების დეტალებისა და იმის შესახებ, პარტიული სიით რა ფორმატით გამოვა მისი პარტია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი და ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატი მთაწმინდის ოლქში **შალვა შავგულიძე** საუბრობს.

– ოპოზიციამ მაჟორიტარებზე შეთანხმების პირველ ნაწილს მიაღწიეთ, გილოცავთ. თქვენ ხართ ერთ-ერთი კანდიდატი. თქვენ ამ შემთხვევაში წარმოადგენთ „თავისუფალ დემოკრატებს“ თუ „ევროპულ საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ ბლოკს?

– ჯერჯერობით აქ მოხდა კონკრეტული პირების შერჩევა და ბლოკები ჯერ არ არის შექმნილი, ვინაიდან ამის ფორმალიზების დრო ჯერ არ დამდგარა და ეს პროცედურა ჯერ არ დაწყებულა. წარმოდგენილი ვარ, როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ მხარდაჭერილი კანდიდატი.

რაც შეეხება ჩვენს პარტიულ გეგმებს, როგორც „თავისუფალი დემოკრატები“, ასევე „ევროპული საქართველო“ ისევ ვფიქრობთ, რომ ბლოკით წარვდგეთ ამ არჩევნებში, თუმცა, როგორც გითხარით, ამის ფორმალიზების დრო ჯერ არ დამდგარა. თუმცა ვფიქრობთ, რომ ხელს არაფერი შეგვიშლის, რომ ეს მოხდეს.

– ანუ მხოლოდ ფორმალური მხარე დარჩა ამის გაფორმებისთვის?

– ეს განზრახვა გვაქვს და სურვილი ორივე პარტიას გაგვაჩნია, რომ ისევ ერთობლივი ბლოკით გამოვიდეთ ამ არჩევნებზე, როგორც ეს გავაკეთეთ 1 წლის წინ მთაწმინდის შუალედურ არჩევნებში.

– მთაწმინდაზე ოპოზიციის საერთო კანდიდატად თქვენი დასახელება თქვენი სურვილი იყო თუ კოლეგებმა გამოთქვეს სურვილი, თუნდაც შუალედურ არჩევნებში თქვენი ნაჩვენები შედეგიდან გამომდინარე, როდესაც მეორე ტურში გახვედით?

– თუ არ იქნება თვითონ კანდიდატის სურვილი, ამაზე მსჯელობას არავინ დაიწყებს და არავინ აიძულებს ამ ადამიანს, რომ მონაწილეობა მიიღოს. ეს იყო ჩემი სურვილი, გამოითქვა პოზიციები და ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. იქამდე კი პარტიაშიც ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ დაგვეყენებინა ეს საკითხი. ეს იყო მხარდაჭერილი ჯერ ჩვენი პარტნიორების მხრიდან „ევროპულ საქართველოში“ და შემდეგ საერთო ოპოზიციურ სპექტრშიც იყო მხარდაჭერილი. მხედველობაში მაქვს ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ვიკრიბებით ლეიბორისტების ოფისში. მადლობა მინდა ვუთხრა კოლეგებს ამ ნდობისთვის.

– ალეკო ელისაშვილმა თქვა, თუ მაისში ვერ მოიგო, ოქტომბერში როგორ მოიგებსო და ანა დოლიძეც მოუგებს და ლევან კობერიძეცო. რას უპასუხებთ მას?

– არ ვიცი, პირველად მესმის.

– მთავარი არხის ეთერში გააკეთა ეს განცხადება.

– ოპოზიციის ოპოზიციონირება სწორად არ მიმაჩნია. ვუყურე მის ეთერს ხუთშაბათსაც, სადაც ოპოზიციის მაგიდას ცოტა ზედმეტად აკრიტიკებდა. ეს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მაინცდამაინც სასარგებლო არ არის. აღდგომა და ხვალეო, მოდით დაველოდოთ, შევხედოთ. ყველა თავისუფალია თავის გადაწყვეტილებაში და ყველას შეუძლია ისე მოიქცეს კანონის ფარგლებში, როგორც მას მოესურვება. თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ საერთო ოპოზიციური კანდიდატის წინააღმდეგ დააყენონ საკუთარი გუნდის კანდიდატურა, მივიღებთ ამ გამოწვევას და დანარჩენი გადაწყვიტოს მთაწმინდელმა ამომრჩეველმა.

– დარჩენილ ორ ოლქში რატომ არ დაასახელეთ, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება?

– ამ ორ ოლქზე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული პოზიცია და არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთში მაინც არა პოლიტიკოსი, არამედ საზოგადოებრივი პერსონა წარვადგინოთ. ამით კიდევ უფრო ფართო ფრონტით ვიქნებით წარდგენილები ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ.

– მსჯელობთ ვინმეს შესახებ?

– არის მოსაზრებები, მაგრამ ჯერჯერობით რომელიმე კანდიდატზე ჩამოყალიბებული პოზიცია არ არის, მაგრამ ალბათ დიდხანს ასეც არ გაგრძელდება.

– მეორე ოლქში „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელს ხომ არ უნდა ველოდოთ, იქიდან გამომდინარე, რომ ნათქვამი იყო, რომ მისი კვოტით ორი კანდიდატი იქნებოდა?

– ამას ვერ გეტყვით ახლა, როგორ იქნება ეს გადაწყვეტილი, ვინაიდან იქ გადაწყვეტილება მიიღება სრული შეთანხმების პირობებში. ამ 6 კანდიდატზე აბსოლუტური შეთანხმება იყო. მაგიდის ყველა წარმომადგენელი შეთანხმდა. ასევე მოხდება იმ ორზეც.

– თბილისს გარეთაც ხომ არ უნდა ველოდოთ რამდენიმე ოლქში საერთო კანდიდატების დასახელებას?

– რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, მაგრამ ჯერჯერობით კონცენტრირება თბილისზე კეთდება, თუმცა სასურველია, რომ თბილისს გარეთაც მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, რაღაც დონეზე, კოორდინირების დონეზე მაინც იყოს მიღწეული შეთანხმება. ესეც ჩამოსაყალიბებელია, მაგრამ ამ მხრივ მაინც უნდა მოხდეს ოპოზიციურ ძალებს შორის შეთანხმება. იმ პარტიებს ვგულისხმობ, რომლებიც ლეიბორისტების ოფისში ვიკრიბებით. საკმაოდ ეფექტურად იმუშავა ოპოზიციამ, ჯერ დაიწყო იმით, რომ გადაგდების მიუხედავად, ხელახალ შეთანხმებას მივაღწიეთ ხელისუფლებასთან, მართალია ჯერ არ არის შესრულებული, მაგრამ შეთანხმებას მივაღწიეთ, ასევე ამის დამსახურებაა ორი პოლიტპატიმრის ირაკლი ოქროუაშვილისა და გიგი უგულავას გამოშვება. ეს ყველაფერი ერთად ყოფნის დამსახურებაა.

– მამუკა მდინარაძე ამბობს, რომ წარდგენილი კანდიდატებით ოპოზიცია ხელისუფლებას ეხმარება გამარჯვებაში. რა პოლიტიკა წამოიწყეს ამ განცხადებებით?

– უბრალოდ ვერ ვხვდები, სად არის ლოგიკა. მეც მოვისმინე, რომ თქვეს, კარგია თუ შეთანხმდნენ, ყველას ერთად დავამარცხებთო, მაგრამ ლოგიკა სად არის, როცა ყველა პარტია მოუწოდებს თავის ამომრჩეველს, რომ ამ კანდიდატს მხარი დაუჭირეთო? ეს გარემოება რანაირად უადვილებს ოპოზიციურ კანდიდატებთან დაპირისპირებას, ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ. ეს არის ლოგიკას მოკლებული და ეს არის მამუკა მდინარაძის სურვილი, რომ ასე იყოს.

სტუდენტობის დროს საგანს ლოგიკას როდესაც ვსწავლობდით, იქ არის ასე, რომ არის შინაარსობრივი მსჯელობა, მაგრამ ლოგიკას მოკლებულია. დავუშვათ, თბილისში კარგი ამინდია და რახან კარგი ამინდია, ესე იგი ნიუ იორკი კარგი ქალაქია. დაახლოებით ასეთი ლოგიკაა მამუკა მდინარაძის ამ განცხადებაშიც.

„დეპუტატობისთვის პოლიტიკოსები ყველაფერს კადრულობენ“

დავით ჭიჭინაძე: „მარგველაშვილს კიდევ დარჩა მოსაქსოვი, კვირიკაშვილიც დაბრუნდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, რატომ არ დაუჭირეთ საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი?

– ჩემი ახსნა ძალიან მარტივია. ოლქები გამსხვილებულია, მაგალითად, 4 რაიონის მაჟორიტარმა როგორ უნდა მოიაროს თუნდაც მცირე დროში ეს რაიონები, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ?! მაჟორიტარი დეპუტატი ხალხთან შეხვედრასაც კი ვერ მოასწრებს. ეს არ არის ხალხისთვის გაკეთებული ცვლილება.

– თუმცა, როგორც მახსოვს, თქვენ სრულ პროპორციულ საარჩევნო სისტემას მხარს უჭერდით. პოზიცია ხომ არ შეიცვალეთ?

– არა, არ შემიცვლია. სრულ პროპორციულ საარჩევნო სისტემას მე მხარს დღესაც ვუჭერ. 20 ივნისის მოვლენების, ხალხის მონაპოვარი იყო პროპორციული საარჩევნო სისტემა. ის მოვლენები, თავისთავად ძალიან დიდი პოლიტიკური პროცესი იყო. ხალხმა პარლამენტის თავმჯდომარე გადააყენა თანამდებობიდან, გახარიამ პასუხისმგებლობა აიღო და თქვა, რომ ბრძანება მან გასცა. უკვე ვიცით, ვინ ჩაიდინა დანაშაული და ადრე თუ გვიან ეს დანაშაული გამოძიებული იქნება, ისევე, როგორც 26 მაისი, 7 ნოემბერი. ეს კარგად უნდა ახსოვდეს გიორგი გახარიას. მან უნდა იცოდეს, რომ ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა.

პროპორციულ საარჩევნო სისტემას რომ დავუბრუნდე, ყველას კარგად ახსოვს, რაც მოხდა და როგორ ჩავარდა ეს დაპირება. მერე დაიწყო ის, რაც დაიწყო ხალხის მონაწილეობის გარეშე.

– რას გულისხმობთ?

– პოლიტიკურ ვაჭრობას პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. გვახსოვს ეს სამარცხვინო ვაჭრობა. აქედან გამომდინარე, მე ამ პროცესში ხალხის ინტერესები ვერ დავინახე. ადამიანებს ძალიან ლოგიკური და სამართლიანი კითხვები აქვთ. დაიღალნენ პოლიტიკური თვალთმაქცობით. დაიღალნენ ამ ყველაფრით, რომელიც აგერ უკვე 30 წელია გრძელდება.

– გავა სამივე მოსმენით ეს ცვლილებები? დღევანდელ კენჭისყრაში უკვე აღარ მიიღებს მონაწილეობას „ევროპული საქართველო“.

– არა, ნამდვილად გავა. პირიქით, „ქართულმა ოცნებამ“ საკმაოდ დიდი უპირატესობა მიიღო. პრაქტიკულად რაიონებში უკონკურენტო იქნებიან მათი კანდიდატები. მითხარით, რომელ ოპოზიციურ პარტიას ან დამოუკიდებელ კანდიდატს ეყოფა რესურსი, ან ფინანსური, ან ადმინისტრაციული, რომ 4-5 გამგებელს ეჭიდაოს, ოპოზიციონერი კანდიდატი ამ ოლქების შემოვლასაც კი ვერ მოასწრებს, ისეა გამსხვილებული, ამ დროს ხელისუფლებას ყველაფერი ხელს აძლევს. ეს არის სწორედ ის, რასაც „ქართული ოცნების“ წისქვილზე წყლის დასხმა ჰქვია.

– ოპოზიცია იძახის მაჟორიტარული ოლქები მოგებული გვაქვსო?

– მოვა არჩევნები და ვნახავთ. მაჟორიტარულ არჩევნებს ზოგადად იმიტომ ებრძვიან, რომ სახეები არ უვარგათ. მე, ძალიან გული მწყდება, როდესაც ირკვევა, რომ პოლიტიკოსებს, რომლებიც მეგონა პოლიტიკაში ადამიანების მსახურებისთვის იყვნენ მოსულები, აღმოჩნდა, რომ ტორტის ნაჭერი ნდომებიათ. დეპუტატობისთვის რას არ კადრულობენ ადამიანები.

– ვის გულისხმობთ?

– ის, რასაც ვუყურებთ ყოველდღე, არის საკუთარი ინტერესებისთვის მომსახურე პარლამენტის ჩამოყალიბება. ფინანსური ჯგუფების ინტერესების მსახურება და არა ქვეყნისა და მისი მოქალაქეების სამსახურში ყოფნა.

– შეიძლება ვთქვათ, რომ საარჩევნოდ პოლიტიკური სპექტრი საბოლოო ჯამში არ არის ჩამოყალიბებული? გიორგი მარგველაშვილი, გიორგი კვირიკაშვილი შეიძლება პოლიტიკაში დაბრუნდნენ?

– უკვე გვითხრეს, რომ „ლელოს“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი გიორგი მარგველაშვილი იქნება. გამოდის, მარგველაშვილს კიდევ დარჩა მოსაქსოვი. ქვეყნის პირველი პირები, საქართველოში თავს წირავდნენ, ასეთი იყო მათი უმაღლესი მოწოდება. პრეზიდენტი მარგველაშვილი კი იძახდა, პლასტელინი ვარო. გიორგი კვირიკაშვილიც ალბათ დაბრუნდება.

თუმცა, უმძიმესი დრო მოდის. ხელისუფლებაში ვერავინ ვეღარ დარჩება, ვისაც რეალური სურვილი არ ექნება ხალხს ემსახუროს. ისეთი მძიმე ეკონომიკური ვითარება იქნება არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით, საერთოდ ძალიან რთული იქნება. ფინანსურ ჯგუფებზე მორგებული, პრივატიზებული სახელმწიფო ინტერესები ვეღარ იქნება, ის დრო წარსულს ჩაბარდა. ან ხალხს უნდა მოემსახურო, ან ვეღარ დარჩები ხელისუფლებაში, ეს უნდა გააცნობიეროს ყველამ.

– თქვენ, როგორც ვიცი, ისანში იყრით კენჭს, რას იტყვით კონკურენტებზე და აპირებთ ვინმესთან თანამშრომლობას?

– არა, არ ვაპირებთ არანაირ გაერთიანებას. ჩვენს პოლიტიკურ მოძრაობას ყველა ოლქში ეყოლება კანდიდატი. არ გამოვრიცხავ ნამდვილ პატრიოტს, ღირსეულ კანდიდატს, შეიძლება არ დავუყენოთ კონკურენტი. ჩვენი ძალა იქება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს დაიცავს. მომავალი არის იმ პოლიტიკური ძალის, ვისთვისაც ქართველობა გოიმობა არ არის. დღეს, ვისაც ვუყურებთ პოლიტიკაში, მათთვის, ყველასთვის ქართველობა გოიმობაა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

გიგლა ბარამიძე: „მაჟორიტარობის კანდიდატი შეიძლება რეგიონების მხოლოდ ერთ ოლქში გვყავდეს“

„საპარლამენტო ოპოზიციის ადგილზე რომ ვიყო, არჩევნებთან დაკავშირებულ კენჭისყრაში აუცილებლად მივიღებდი მონაწილეობას“

მარიამ მჭედლიშვილი

შეთანხმებული საარჩევნო მოდელის დამტკიცება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ საკონსტიტუციო პროექტის მეორე და მესამე მოსმენის წინ პოლიტპატიმრების თაობაზე მიღწეული თანხმობის შესრულებას ბოლომდე მოითხოვენ და ამის გამო შესაძლოა მომავალ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღონ. რა პროცესები განვითარდება იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ დაბირებულ საარჩევნო მოდელს ამ საპარლამენტო პარტიების გარეშე მიიღებს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, გიგლა ბარამიძეს.

– შეიძლება თუ არა წინასაარჩევნოდ სიტუაცია გართულდეს იმ შემთხვევაში, თუ ნაციმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ მეორე და მესამე მოსმენისას არ დაუჭერენ მხარს შეთანხმებულ საარჩევნო პროექტს?

– სიტუაცია არ გართულდება. არაფერი მოხდება მაშინაც, თუ ახალ მოდელს ამ ორი პარტიის გარეშე დაამტკიცებენ. ისე, ჯობია, მათ ამ პროცესში მონაწილეობა მიიღონ. საპარლამენტო ოპოზიციის ადგილზე რომ ვიყო, არჩევნებთან დაკავშირებულ კენჭისყრაში აუცილებლად მივიღებდი მონაწილეობას. ამით არ დავუტოვებდი სათქმელს „ქართულ ოცნებას“. მმართველ პარტიას არ უნდა მისცე საბაბი, იძახოს, რომ ოპოზიცია არაფრის მაქნისია, უვარგისია და რომ საარჩევნო მოდელი თვითონ დაამტკიცა. არადა, ეს შეჯერებული მოდელია. მართალია, სრულად პროპორციული სისტემა არაა, მაგრამ 120/30 პროექტითაც ძლიერდება

„ორი პოლიტიკური ცენტრი რომ ცუდია, ამაზე ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით, როცა მარგველაშვილი დანიშნული პრეზიდენტი იყო“

პროპორციული სისტემა. საზოგადოების მოთხოვნა სამართლიანი არჩევნები, პროპორციული სისტემა იყო. ჯერჯერობით გვაქვს პროპორციულთან მიახლოებული ვარიანტი. ამაზე მეტის მიღწევა ამ დროისთვის შეუძლებელი იყო. ამ საკითხზე ჩვენი მისიაც შესრულებულია. ჩვენი პარტია პირნათელია საზოგადოების, ჩვენი ამომრჩეველის წინაშე. სხვა პარტიებთან დროებით ამ საკითხის გარშემო გავერთიანდით. ისე, ერთმანეთისგან ისე განვსხვავდებით, როგორც ცა და დედამიწა.

– ახლა არჩევნებისათვის დამოუკიდებლად ემზადებით?

– რასაკვირველია. ამ ეტაპზე პარტიებს აქვთ არჩევნებისათვის მზადების პირობები.

– თბილისის მაჟორიტარების კანდიდატებზე კონსულტაციებში, შეთანხმებაში თქვენი პარტიაც იყო ჩართული. ოპონენტები ქილიკობენ იმაზე, რომ კანდიდატები მთაწმინდასა და ვაკეში – შალვა შავგულიძე და ელენე ხოშტარია – არასწორად შერჩეულები არიან, ვინაიდან მათ ადრე წააგეს არჩევნები ამ ოლქებში.

– ამ კანდიდატების პოლიტიკურმა ძალებმა ისინი დაასახელეს და ჩვენ დავეთანხმეთ. ჩემი აზრით, მათზე არჩევანი გაკეთდა იმის გამო, რომ მათ საზოგადოება ცუდი თვალით არ უყურებს. ისინი არ იწვევენ ხალხის ისეთ გაღიზიანებას, როგორც სხვები. მთავარი ამ პროცესში ის იყო, რომ არ ყოფილიყო მხოლოდ ერთი ან ორი პარტიის კანდიდატურები.

– „ერთიანი საქართველო“ კანდიდატებს რეგიონებში დაასახელებს?

– ჩვენთვის მთავარია პარტიული, ანუ პროპორციული არჩევნები და პარტიული სია. მაჟორიტარების კანდიდატები შეიძლება არ დავასახელოთ, ან შეიძლება მხოლოდ ერთ ოლქში გვყავდეს კანდიდატი.

– 120/30 მოდელს ახლავს 1%-იანი საარჩევნო ბარიერი პარტიებისათვის. ეს იმის მომასწავებელია, რომ მომავალი პარლამენტი უფრო წარმომადგენლობითი იქნება?

– ცხადია. ესაა ამ მოდელის მარილი. ვისაც საზოგადოება უჭერს მხარს, იმას გაეხსნება გზა პარლამენტში მოსახვედრად. არ იქნება ვითარება, რომ პარლამენტში მარტო ერთი ან ორი პარტია იყოს.

– მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. ვრცელდება ხმები იმაზე, რომ ის „ლელოს“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება.

– ორი პოლიტიკური ცენტრი, ორი პარტია რომ ცუდია, ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვლაპარაკობდით, როცა მარგველაშვილი დანიშნული პრეზიდენტი იყო. ამ სიტყვას ტყუილუბრალოდ არ ვამბობ. გიორგი მარგველაშვილი დანიშნეს პრეზიდენტად. როცა ის პრეზიდენტის დიდ სასახლეში იჯდა, ჩვენ გამოვდიოდით ხელოვნური ორპარტიულობის წინააღმდეგ. ვამბობდით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა დაიტოვა ოპოზიციად. ეს ორი ძალა ერთმანეთს ასულდგმულებდა. დანიშნულმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ამაზე ახლა დაიწყო ლაპარაკი. სადაც უნდა, იქ მივიდეს, ეს მისი ნებაა. არა მგონია, ეს კაცი ვინმემ პირველ ნომრად ჩასვას სიაში.

– 2020 წლის არჩევნები მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ფონს ემთხვევა. გამოდის, რომ პარტიებისთვის მთავარი სოციალური საკითხებია?

– კი. ჩვენ, „ერთიან საქართველო-დემოკრატიულ მოძრაობას“ ნახევარი პროგრამა სოციალურ საკითხებზე გვაქვს. ხალხი მძიმე მდგომარეობაშია.

აკაკი ბობოხიძე: „თუ ივანიშვილი 8 მარტის შეთანხმების ორივე ნაწილს დაარღვევს, ნახოს, რაც მოუვა“

„გავრილოვთან ერთად ორი ერის მეგობრობაზე სადღეგრძელოებს კობახიძე სვამდა და ორივეს ერთად „მოვიკითხავ“

იაგო ნაცვლიშვილი

საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით დამტკიცდა, თუმცა მისაღებია მეორე და მესამე მოსმენები. 23 ივნისს საკანონმდებლო ორგანოში დაგეგმილია მეორე მოსმენა. „ევროპული საქართველო“, რომელმაც პირველი მოსმენის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო, მეორე მოსმენაში მონაწილეობას აღარ აპირებს.

რატომ მიიღო ოპოზიციურმა პარტიამ პირველი მოსმენისას კენჭისყრაში მონაწილეობა და რატომ არ გეგმავს მეორე და მესამე მოსმენაში კენჭისყრას, ან რა შემთხვევაში დაუბრუნდებიან დეპუტატები კენჭისყრას? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ წევრი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს.

– საკონსტიტუციო ცვლილებების მეორე მოსმენაში მონაწილეობას მიიღებთ?

– მეორე მოსმენაში მონაწილეობას არ მივიღებთ. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რა განსხვავებაც არის პირველ და მეორე მოსმენებს შორის. პირველი მოსმენის დროს თუ საკითხი ჩავარდებოდა, ამით მთლიანად იხურებოდა საკითხი და მომავალში აღარ განიხილებოდა. რაც შეეხება მეორე მოსმენას, მაშინ რომც ჩავარდეს, საკითხი არ იხურება და მეორე, მესამე ან რამდენიმე დღის შემდეგ კენჭისყრა შეიძლება.

ამიტომ, ბიძინა ივანიშვილი ხელს ვეღარ გამოიშვერს ჩვენკენ და ვერ იტყვის, რომ რამდენიმე დეპუტატმა კენჭისყრაში მონაწილეობაში არ მიიღო, ან მხარი არ დაუჭირესო. რომ ჩავარდნილიყო, ბიძინა ამას 3-4 ადამიანს დააბრალებდა და საკითხი ამით დასრულდებოდა. მეორე მოსმენაზე რომ ჩავარდეს და ვერც გააკონტროლოს 3-4 დეპუტატი, მაშინ „ნაციონალური მოძრაობაც“ და „ევროპული საქართველოც“ მზადაა, რომ მეორე თუ მესამე დღესვე შევიდეთ და მხარი დავუჭიროთ ცვლილებებს, ოღონდ ერთი პირობით – უნდა გამოუშვას გიორგი რურუა. თუ ამაზეც უარს იტყვის ბიძინა ივანიშვილი, მაშინ მას საკითხის გატანა არ ნდომებია და პასუხისმგებლობა იქნება ბიძინა ივანიშვილზე და ოპოზიციისკენ ხელს ვეღარ გამოიშვერს.

მეორე და მესამე მოსმენაზე მას მოუწევს, რომ ან უჩვენოდ გაიტანოს საკითხი, ან თუ უჩვენოდ საკითხი ვერ გააქვს, მაშინ მოუწევს რურუას გამოშვება.

– ხომ ხედავთ, რომ რურუას გამოშვებას არ აპირებენ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე ჩანს და მაშინ რა აზრი ჰქონდა პირველ მოსმენაში მონაწილეობას, თუ ისევ ჩავარდნისთვის არის განწირული?

– თუ რურუას გამოშვებას არ აპირებს, მაშინ მან უნდა გაიტანოს ეს საკითხი ჩვენ გარეშე, ან რურუა უნდა გამოუშვას და კენჭისყრაში მივიღებთ მონაწილეობას. თუ რურუას არ უშვებს და საკითხიც ვარდება, ეს იქნება კატასტროფა ივანიშვილისთვის. იმიტომ, რომ ამით ნათელი გახდება, რომ 8 მარტის შეთანხმების ორივე ნაწილი დაირღვა.

– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილს არ დავუტოვეთ შესაძლებლობა, რომ ოპოზიციისკენ გამოეშვირა ხელი და იმიტომ მივიღეთ მონაწილეობაო. თქვენ ლოგიკას რომ გამოვყვე, მაშინ რა შეუშლის ხელს, რომ მაინც ჩააგდონ და ისევ ოპოზიციისკენ გამოიშვირონ ხელი?

– ძალიან მარტივია საკითხი – ვეუბნებით, გაკლიათ ხმები? – მზად ვართ, მოგცეთ ხმა. ამას სჭირდება შესრულება. არ ხარ მზად და არ უშვებ რურუას? – ერთი კვირა კიდევ გექნება დრო და დაფიქრდი ერთი კვირის შემდეგ. აქ არანაირად აღარ იქნება ოპოზიციის პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება პირველ მოსმენას, ივანიშვილი ამბობდა, რომ ხმები მაქვსო, მაგრამ რამდენიმე ხმა რომ დაჰკლებოდა, თავს იმით იმართლებდა, რომ დამაკლდა რამდენიმე ხმა და კანონპროექტი ჩავარდაო. პასუხისმგებლობას ჩვენზე გადმოიტანდა და საკითხიც დასრულდებოდა ამით. ეს მოხდებოდა ავად თუ კარგად, ეს მაინც მოხდებოდა და ამის შესაძლებლობა არ მივეცით მას.

– ანუ პირველი მოსმენის შემდეგ შანსი აღარ რჩებოდა და ეს შესაძლებლობა აღარ მიეცით მას?

– დიახ. პირველი მოსმენა თუ ჩავარდა, საკითხი იხურება, ხოლო მეორე მოსმენა თუ ჩავარდა, საკითხი არ იხურება და 1 თვის განმავლობაში ბევრჯერ შეიძლება დაისვას კენჭისყრაზე. ამ შემთხვევაში ბიძინა ვერ იტყვის, რომ საკითხი ჩავარდა. თუ ის საკითხს აღარ გამოიტანს, ეს ნიშნავს, რომ მას არც რურუას გამოშვება უნდა და არც საკითხის გატანა. თუ მას რურუას გამოშვების გარეშე გააქვს საკითხი, ეს სხვა თემაა. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ 8 მარტის შეთანხმების პირველი ნაწილის შეუსრულებლობისთვის.

– როგორ გააგრძელებთ ამ ბრძოლას?

– ჩვეულებრივად. როდესაც ხელისუფლებას ჰყავს პოლიტპატიმარი, მას მუდმივად ექნება ზეწოლა ამის გამო დასავლეთისგან. ჩვენ კი ვეცდებით, რომ ხელისუფლების მისამართით ეს ზეწოლა, რაც შეიძლება მძიმე იყოს. თუმცა, გვესმის რეალობა, რომ თუ ის შეთანხმების ნაწილს მაინც შეასრულებს, მაშინ მისი მდგომარეობა შემსუბუქდება, მაგრამ ის, რომ რურუას ნაწილში მთლიანად გაექცევა პასუხისმგებლობას, ეს არ არსებობს. თუ ორივე ნაწილს ჩააგდებს, ვნახავთ, რაც ბიძინას მოუვა.

– რა მოუვა?

– რასაც ლაპარაკობენ, სანქციებით დაწყებული, ყველაფერი. რაც კი შეიძლება იყოს პოლიტიკური ზეწოლის მეთოდი ცივილიზებული სამყაროს ხელში, სანქციებით დაწყებული.

– დაუყადაღებენ ანგარიშებსაც?

– თუ არ სჯერა, დაელოდოს.

– გავრილოვმა გაავრცელა განცხადება 20 ივნისს, რომელიც ამ თემას ებმება. მისი ეს განცხადება ირაკლი კობახიძემ ოპოზიციასთან უნისონში მყოფ განცხადებად შეაფასა. რა გითხრათ თქვენ ამ ორმა განცხადებამ?

– არ ვიცი, ბატონმა გავრილოვმა რა თქვა. მე ვიცი ერთი რამე, ბატონ გავრილოვთან ერთად ბატონი კობახიძე მიირთმევდა სასმისებს და ორი ერის – რუსი და ქართველი ერის მეგობრობასა და სიყვარულზე სადღეგრძელოებს ამბობდა. დარწმუნებული ვარ, ბატონი კობახიძე გაიხსენებდა ბრეჟნევის დროინდელ ტრადიციას და აკოცებდა მას. ზაქარია ქუცნაშვილი რომ ამას გააკეთებდა, ამაში დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ ის უფრო ძველი თაობის წარმომადგენელია და კარგად ემახსოვრება ბრეჟნევის დროინდელი ჩახუტებები. არ ვიცი, რა თქვა გავრილოვმა.

– მან თქვა, რუს ხალხთან ბოდიში გაქვთ მოსახდელი და ვიმედოვნებ, ხელისუფლება დესტრუქციულ ოპოზიციას თავის ადგილს მიუჩენსო.

– არც მაინტერესებს რა თქვა ან ერთმა ან მეორემ. გავრილოვი საქართველოში კობახიძემ და ქუცნაშვილმა ჩამოიყვანეს და ჩასვეს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში და წააყვანინეს სხდომა. ოკუპანტ ქვეყანას დაუთმეს პარლამენტის სხდომა. რომ იცოდეთ, ეს ბატონმა კობახიძემ ქნა და არავინ სხვამ. ერთადერთი პირი, ვისაც ამის უფლება ჰქონდა, ირაკლი კობახიძეა. მე იმაზე კი არ ვამბობ, რომ ირაკლის როგორ გაუბედავდნენ ამას და ა. შ., არამედ იურიდიულ ნაწილზე ვსაუბრობ. ასე რომ, ბატონებს გავრილოვსა და კობახიძეს ერთად მოვიკითხავ. იმედი მაქვს, რომ იქ გავუშვებთ, სადაც ოკუპანტს „კეთილი სურვილებით“ ვუშვებდით ხოლმე. ერთხელ ახსენა როდიონოვმა „გრძნეული“ რუსული სიტყვა და მათი ადგილი არის აქეთ.

თბილისში ნარკოდანაშაულისთვის უკრაინის 3 მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკრაინის სამი მოქალაქე – 1990 წელს დაბადებული პ.ბ., 1990 წელს დაბადებული ა.ხ. და 2000 წელს დაბადებული დ.პ., ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ჩართული იყვნენ ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის სქემაში. კერძოდ, ა.ხ. და დ.პ., პ.ბ.-ს მითითებით, თბილისში, წინასწარ სპეციალურად შერჩეულ სამალავებში ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს და აღნიშნული სამალავების მისამართებს დისტანციურად ატყობინებდნენ პირს, რომელიც შემდეგ ამ ნარკოტიკების რეალიზაციას ახდენდა.



სამართალდამცველებმა, ა.ხ.-ს და დ.პ.-ს პირადი ჩხრეკისას, ლოკაციაზე სარეალიზაციოდ განსათავსებლად გამზადებული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 45 აბი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს.

ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ა.ხ.-ს და დ.პ.-ს მითითებით ამოღებულია ლოკაციაზე სარეალიზაციოდ განთავსებული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 25 აბი.

ბრალდებულების დროებითი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას კი პოლიციამ „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 688 მთლიანი აბი და 21 ნატეხი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დააკავეს 2 პირი, რომლებმაც 1 ბანკს 3,5 მილიონი ლარის ზარალი მიაყენეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ორი პირი დააკავეს. უწყების ინფორმაციით, კერძო ლომბარდის ხელმძღვანელი დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა ერთ-ერთი კომერციული ბანკის რეგიონალური ფილიალის ექსპერტ-შემფასებელთან, რის შემდეგაც ისინი შეთანხმდნენ, რომ ბანკის სერვის ცენტრში, სხვადასხვა ფიზიკური პირის სახელით, შედგებოდა სალომბარდე სესხის ყალბი ხელშეკრულებები, რომლის უზრუნველსაყოფად, ნაცვლად გირაოში ჩასადები ძვირფასეულობისა, დაგირავდებოდა არაძვირფასი ლითონის ნაკეთობანი (ე.წ. ბიჟუტერია).

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული გზით, 2018-2020 წლებში, 82 ფიქტიური სალომბარდე სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, ბრალდებულები მოტყუებით დაეუფლნენ ბანკის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, რითაც ბანკს მიაყენეს 3.476.788 ლარის მატერიალური ზიანი. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 220-ე მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

გიორგი შაქარაშვილის ცხედარი მყვინთავებმა წყალში იპოვეს

მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა

რა მოხდა საგურამოს აგარაკზე დაბადების დღის წვეულებაზე

22 ივნისს, 4-დღიანი უწყვეტი საძიებო სამუშაოების შედეგად, მყვინთავებმა გიორგი შაქარაშვილის ცხედარი მდინარე არაგვში იპოვეს.

ამ ხნის განმავლობაში საძიებო სამუშაოებში ჩართული იყო, 70 მეხანძრე-მაშველი, 7 ნავი და ორი სპეციალური კატერი, რომელიც ახორციელებდა ფსკერის სკანირებას. შეუჩერებლად ფუნქციონირებდა საველე შტაბი, საიდანაც ხდებოდა საძიებო ოპერაციის მართვა. ადგილზე მობილიზებული იყო ყველა საჭირო სპეც-ტექნიკა, მათ შორის თერმული დრონები, რომლებიც ახორციელებდნენ ტერიტორიის მონიტორინგს.

გიორგი შაქარაშვილის კვალს მყვინთავებმა მცხეთის დასახლებულ პუნქტთან ახლოს, დაგუბებულ წყალში მიაკვლიეს. ფეხბურთელის ცხედარი სამაშველო ჯგუფებმა, მდინარე არაგვის ხიდიდან, ანუ იმ წერტილიდან, სადაც შაქარაშვილის კვალი გაქრა, დაახლოებით 2-3 კილომეტრში იპოვეს.

ადგილზე მუშაობდნენ ექსპერტ კრიმინალისტებიც, რომლებმაც ცხედრის პირველადი დათვალიერება ადგილზეც შეძლეს. აღენიშნება თუ არა გარდაცვლილს დაზიანებები და ძალადობის კვალი, უცნობია – სპეციალისტები დეტალებს ჯერ არ ასაჯაროვებენ.

ახალგაზრდა ფეხბურთელის ცხედარი თბილისში სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში გადმოასვენეს. გარდაცვლილი 19 წლის ბიჭის მეგობრების ნაწილი მკვლელობის ვერსიას არ გამორიცხავს.

დაღუპული ბიჭის ოჯახის წევრები, ოქროს მოწმეზე დაყრდნობით, ამბობენ, რომ 19 ივნისს ნაქირავებ აგარაკზე დიდი დაპირისპირება მოხდა. კონფლიქტის დროს საქმის გარჩევის მიზნით თბილისიდან 2 ავტომობილით ახალგაზრდების ჯგუფი ჩავიდა, რომლებიც ნაძალადევის რაიონიდან იყვნენ.

მონაყოლის მიხედვით, ისინი ფიზიკურად წვეულების სტუმრებს ჯერ აგარაკზე გაუსწორდნენ, შემდეგ კი – ცენტრალურ მაგისტრალზე. საქმეში 2 ავტომობილი ფიგურირებს, შავი ფერის, რომლის მარკაც უცნობია და ნაცრისფერი მერსედესი, რომელიც 20 ივნისს პოლიციამ ნივთმტკიცებულების სახით ამოიღო.

ასევე ცნობილია, რომ ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება საქმის ოქროს მოწმეს, გურამ ამირხანაშვილს, თუმცა, მისი მონაყოლის მიხედვით, ნაკაწრები მან დამალვის დროს მიიღო.

სწორედ გურამ ამირხანაშვილია ის პირი, რომელმაც, მონათხრობის მიხედვით, გიორგი შაქარაშვილი ბოლოს ნახა.

საქმეზე დაკითხული ერთ-ერთი პირის ადვოკატი, მზია ქასრაშვილი ადასტურებს, რომ წვეულებაზე, სადაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი და გიორგი შაქარაშვილი იმყოფებოდნენ, ჩხუბი მოხდა.

როგორც მზია ქასრაშვილი „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ ახსოვს, გიორგი შაქარაშვილმა ჩხუბში მონაწილეობა მიიღო თუ არა.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი და შაქარაშვილი ერთმანეთს არ იცნობდნენ და პირველად იმ წვეულებაზე შეხვდნენ ერთმანეთს.

– ერთ-ერთ გოგონას დაბადების დღე ჰქონდა და მან კერძო, ნაქირავებ სახლში, დაახლოებით, 35-40 კაცი დაპატიჟა. მათგან ზოგი ერთმანეთს იცნობდა, ზოგი – არა. ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა რამდენიმე ადამიანი საერთოდ პირველად ნახა.

როგორც ის ამბობს, ადამიანები, რომლებიც მას იქ დახვდნენ, როცა მივიდა, მთვრალები იყვნენ. ის დაახლოებით 5-10 კაცთან ერთად მივიდა. როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აღნიშნავს, მხიარულობის პროცესში მათ გარედან ჩხუბის ხმა გაიგონეს და გარეთ გავიდნენ.

რატომ მოხდა ეს კონფლიქტი და ვის შორის მოხდა, ჩვენ არ ვიცით. ამის შემდგომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და მასთან ერთად წვეულებაზე მისული პირები წამოვიდნენ. ჩხუბი მორჩენილი იყო. შემდეგ მეორე მანქანა მისულა და ამ ავტომობილიდან გადმოსულმა პირებმა იქ დარჩენილ ბიჭებს სცემეს. ვინ არიან მეორე მანქანით მისული პირები, რა შურისძიების წყურვილი ჰქონდათ ან რა გარჩევა იყო, როდესაც მივიდნენ, არ ვიცი. როდესაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ვკითხე, ჩხუბის დროს იყო თუ არა იქ გიორგი, მან მიპასუხა, რომ მისი თვალთახედვის არეში შაქარაშვილი არ მოხვედრილა, – აცხადებს მზია ქასრაშვილი.

ქასრაშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოწმის სახით არის დაკითხული და ისინი გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებენ.

21 ივნისს მცხეთის პოლიციასთან იმყოფებოდა საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი, რომელიც პოლიციის განყოფილებაში ინფორმაციის გასარკვევად მივიდა.

– ყველა ერთად განვიცდით. ვცდილობთ და იმედი გვაქვს, გიორგი გამოჩნდება. პირველი საზრუნავი ახლა ეს არის. მინდა, მადლობა გადავუხადო ძალოვნებს, რომ ყველაფერს აკეთებენ მის მოსაძებნად. გამოძიების დეტალები არ ვიცი. მოვედი, რომ გამეგო ინფორმაცია. ყველას აქვს იმედი, რომ გიორგი გამოჩნდება. არის ასეთი შემთხვევები, რომ ამ ასაკის ადამიანებს კონფლიქტის შემდეგ აქვთ ხოლმე შიში, მორიდება და შეიძლება, სადღაც არის, თავს აფარებს. მინდა, ვთხოვო, რომ გამოჩნდეს და დაუბრუნდეს ოჯახს. ახლა მთავარი საზრუნავია, რომ გიორგი ვიპოვოთ. იმედი გვაქვს, რომ გიორგი ცოცხალია. არ გამოკვეთილა მიზეზი, რომლითაც შეიძლება, დადგინდეს, რომ რაღაც უბედური შემთხვევა მოხდა, – განაცხადა ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

სამწუხაროდ, მისი ვარაუდი არ გამართლდა და მეორე დღეს მყვინთავებმა გიორგი შაქარაშვილის ცხედარი იპოვეს.

„დაგვიბრუნეთ ჩვენი ტექნიკა“

შუქრი ბურჭულაძე სუს-ის ქმედებებს არაკანონიერს უწოდებს

შპს „ემ ეს ჯგუფში“ სახელმწიფო უსაფრთხოების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის საკითხზე კომპანიის მფლობელების ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ მიუხედავად ექსპერტის დასკვნისა, რომ კომპანიაში კანონდარღვევა არ მომხდარა, სამართალდამცველებმა ორგანიზაციის კუთვნილი ტექნიკა და მფლობელთა პირადი მობილური ტელეფონები წაიღეს და არ დაუბრუნებიათ.

რამიშვილის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ თანამშრომელი, რომლის შესახებაც სამართალდამცველებმა მიიღეს ინფორმაცია, გათავისუფლებულია, საფუძველი, რომ კომპანიიდან ტექნიკა წაეღოთ, არ არსებობდა.

– საქმე ეხება მათი პირადი პერსონალური ინფორმაციის უკანონოდ მიტაცებას. მათი სამსახურიდან ერთ-ერთმა თანამშრომელმა თავის ახლობლებს, ექვს პირს მისწერა შემდეგი შინაარსის ტექსტური შეტყობინება, რომ ქვეყანაში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა, შეიზღუდება ქალაქებს შორის გადაადგილება და პირადი ურთიერთობები, თუ აღენიშნებათ გაციების სიმპტომები და არ მიმართავ 112-ს, თქვენ მიმართ განხორციელდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

ეს შეტყობინება სამართალდამცველებმა ჩათვალეს სახელმწიფოში საბოტაჟად და ამაზე აღძრეს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდათ სპეციალისტი, სრულად იქნა შემოწმებული ტექნიკური სისტემა და ექსპერტმაც ბრძანა, რომ არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონდა და თანამშრომელი, რომლის თაობაზეც შეტყობინება მიიღეს სამართალდამცველი ორგანოებიდან, გათავისუფლებული იყო და არავითარი საფუძველი არ იყო, რომ ტექნიკა წაეღოთ.

ჩვენი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მიზანმიმართულად ყველანაირად ხელს უშლის დღევანდელი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები, მთავარი პროკურატურა, რომ შუქრი და ალექსანდრე ბურჭულაძეებს დაუბრუნდეთ ტექნიკა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაბედეს და მათ პერსონალურ სივრცეშიც კი შევიდნენ ისე, რომ მთელი ინფორმაცია მათ ხელთაა.

მივმართეთ სახალხო დამცველს და ახლა პირდაპირ მივმართავ ქალბატონ ნინოს, მოგმართეთ წერილობით, რაზეც არანაირი პასუხი არ მიგვიღია, არანაირი რეაგირება არ მომხდარა. ჩვენ იძულებულები გავხდით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მივმართოთ და ბატონმა შუქრიმ, როგორც ავსტრიის მოქალაქემ, მიმართა საელჩოს, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

პრესკონფერენციაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა შუქრი ბურჭულაძემაც, რომელიც მისი კომპანიის საქმეზე სუს-ის ქმედებებს ზეწოლად აფასებს და არაკანონიერს უწოდებს.

მისი თქმით, აღნიშნულ საქმეზე, როგორც ავსტრიის მოქალაქემ, ავსტრიის საელჩოს მიმართა.

– როდესაც დავრეკეთ სუს-ში და ვთხოვეთ, დაებრუნებინათ ტექნიკა, ვინაიდან იქ არის ჩვენი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რის გარეშეც საქმიანობის გაგრძელება გვიჭირს, გვიპასუხეს, რომ ეს ყველაფერი არის გადაგზავნილი ექსპერტიზაზე და უნდა დაველოდოთ პასუხს. რომც მოვიდეს ექსპერტიზიდან დადებითი პასუხი, რომ არაფერი საეჭვო არაა, მაინც იფიქრებენ, დაგვიბრუნონ თუ არა ტექნიკა. ეს პირდაპირი ზეწოლა და არაკანონიერი ქმედებაა სუს-ის მხრიდან. ჩვენი მოთხოვნაა, რომ დაგვიბრუნონ ჩვენი ტექნიკა, სადაც გვაქვს ინფორმაცია შენახული, – განაცხადა შუქრი ბურჭულაძემ.

2020 წლის 18 მარტს შუქრი და ალექსანდრე ბურჭულაძეების კუთვნილ კომპანია „ემ ეს გრუპში“ სუს-მა სპეცოპერაცია ჩაატარა, რაც კომპანიიდან რამდენიმე მოქალაქისთვის კორონავირუსთან დაკავშირებით გაგზავნილ შეტყობინებას უკავშირდებოდა.

ბ.ა.-მ, ო.კ.-მ და დ.ქ.-მ იტალიური და ნორვეგიული კომპანიების კუთვნილი 134.962 ევრო მიითვისეს

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ნორვეგიული და იტალიური კომპანიების დიდი ოდენობით ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტი გამოავლინა, რის შედეგადაც სამი პირის მიმართ დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა უცხოური საწარმოების კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2020 წლის მარტი-მაისის თვეებში, ბ.ა.-ს მითითებით და დავალებით ო.კ.-მ და დ.ქ.-მ, საქართველოში ნორვეგიული და იტალიური კომპანიების ანალოგიური სახელწოდების მქონე საწარმოები დააფუძნეს და საბანკო ანგარიშები გახსნეს საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში.

„დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ მოხდა ნორვეგიული და იტალიური კომპანიების ელექტრონულ ფოსტაში ჰაკერული შეღწევა, მათი ბიზნესსაქმიანობის შესწავლა და შეცდომაში შეყვანის მიზნით რეალური ბიზნეს-პარტნიორი კომპანიების საბანკო ანგარიშების მონაცემების ცვლილება, რის შედეგადაც, 2020 წლის მაისში, ნორვეგიული და იტალიური კომპანიების ბიზნესსაქმიანობისთვის განკუთვნილი ფულადი თანხები, რეალური კონტრაგენტების (თანხის მიმღებების) ნაცვლად ჩაირიცხა ო.კ.-ს და დ.ქ.-ს მიერ დაფუძნებული საწარმოების საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებზე. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ნორვეგიულ და იტალიურ კომპანიებს 134.962 ევროს ოდენობის ზიანი მიადგათ.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხების ნაწილი, საბანკო ანგარიშებიდან განაღდების შემდგომ, წინასწარ შეთანხმებული პროცენტულობის შესაბამისად, ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების ნაწილი, რომელსაც გამოძიების მსვლელობისას ყადაღა დაედო, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ დაზარალებულ კომპანიებს დაუბრუნდებათ.

ბ.ა.-ს, ო.კ.-ს და დ.ქ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით. ბ.ა.-სთვის, ო.კ.-სთვის და დ.ქ.-სთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

დასავლეთი პუტინის სტატიას აკრიტიკებს

როგორც ცნობილია, ვლადიმერ პუტინმა პირობა შეასრულა და ნაციზმზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამერიკულ გაზეთ „ნეშიონალ ინტერესტში“ სტატია გამოაქვეყნა. მასალამ მთელს მსოფლიოში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ეს ოფიციალურმა სტრუქტურებმაც დააფიქსირეს.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად არ ეთანხება პუტინს იმაში, რომ ჰიტლერიზმზე გამარჯვება ძირითადად რუსეთის დამსახურებაა. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის პრეზიდენტი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ისტორიულ სინამდვილეს ამახინჯებს. ბრიტანელი დიპლომატები ხაზს უსვამენ, რომ ჰიტლერიზმის დამარცხება როგორც სსრკ-ის, ასევე აშშ-ის და ინგლისის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

– ნაციზმის დამარცხება კოლექტიური დასავლეთის და სსრკ-ის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი იყო, – თვლიან ბრიტანელი დიპლომატები.

უაღრესად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა იმასაც, რომ პუტინი ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ოკუპაციას ამართლებს. რუსეთის პრეზიდენტმა საბჭოური ეპოქის მითები მოიშველია და განაცხადა, რომ ბალტიისპირეთში ძალიან ძლიერი გერმანული გავლენა იყო, რის გამოც რეალური გახდა იმის საფრთხე, რომ ჰიტლერელებს იქ თავიანთი ბაზები განელაგებინათ. ეს სწორი არაა. ყველა, ვინც გაიცნობს ბალტიისპირელი ხალხის ფოლკლორს, ან წაიკითხავს მათ კლასიკოსებს (რაინისი, კრევე-მიცკიავიჩუსი, ტამსაარე და ა.შ.), დარწმუნდება, რომ იმხანად ბალტიისპირეთში ძლიერი ანტი– გერმანული განწყობილებები დომინირებდა. ამას, სხვათა შორის, საბჭოთა დიპლომატებიც ადასტურებენ. მაგალითად, სსრკ-ის ელჩი ლიტვაში პოზნიაკოვი 1940 წელს მოსკოვში შემდეგ შეტყობინებას აგზავნის:

– ბალტიისპირეთში ნამდვილი ანტიგერმანული ფსიქოზია. ჰიტლერის პოლიტიკამ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია.

ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, შემდგომში კი ანტისაბჭოთა ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე ბრუნო კალნინში ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც 1940 წელს ლატვიაში საბჭოთა არმიის შესვლას შეეგება. შემდგომში კალნინშმა თავს ძლივს უშველა და მკვეთრად ანტისაბჭოთა პოზიციებზე დადგა. თავის მოგონებებში ის აღიარებს, რომ ლატვიაში რუსების მიმართ ძალზე დიდ ილუზიები იყო:

– ქვეყანაში მკვეთრი ანტიგერმანული განწყობები სუფევდა. უმრავლესობა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ერთადერთ მოკავშირედ საბჭოთა კავშირს თვლიდა. ამაში მწარედ მოვტყუვდით.

ასევე ნეგატიური რეაქცია ხვდა პუტინის მოსაზრებას ე.წ. ახალი იალტის კონფერენციის მოწვევის თაობაზე. წამყვანი დასავლელი პოლიტოლოგები ამბობენ, რომ პუტინი გუშინდელი დღის სტანდარტებით ცხოვრობს და დღეს მსგავსი ცნებებით პოლიტიკაში არავინ აზროვნებს.

ამან კრემლის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის დაზვერვის შეფმა ნარიშკინმა ბი-ბი-სისთან ინტერვიუში განაცხადა:

– რუსეთ-დასავლეთს შორის დაძაბულობა იმან გამოიწვია, რომ ვიღაც-ვიღაცებს ვაშინგტონში მსოფლიო ბატონობის პრეტენზიები გაუჩნდათ!

ამრიგად, რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს. მოსკოვსა და დასავლეთს შორისა დაძაბულობაც იზრდება.

სროლა სიეტლში

სიეტლში სისხლანი ტრაგედია მოხდა. კაპიტოლიუმის ბორცვზე, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა, უცნობმა პირმა სროლა ატეხა. მოკლულია ერთი, დაიჭრა ერთი პიროვნება.

პოლიცია დროულად მოვიდა, მაგრამ მანიფესტანტებმა უფლება არ მისცეს, შემთხვევის ადგილი დაეთვალიერებინა.

ტერაქტი ბრიტანეთში

ბრიტანეთის ქალაქ როდინგში ტერაქტი მოხდა. 23-24 წლის ახალგაზრდა კაცი პარკში დამსვენებლებს დანით თავს დაესხა. შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, 2 დაიჭრა. პოლიციამ თავდამსხმელი დააკავა.

ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ცნობით, მოხდა ტერაქტი. თავდამსხმელი ლიბიელი ლტოლვილია. ვარაუდობენ, რომ ის რომელიმე ექსტრემისტულ ორგანიზაციასთანაა დაკავშირებული, თუმცა ჯერჯერობით ამისი დამტკიცება ვერ მოხერხდა. გამოითქმება მეორე ვერსიაც, რომ თავდამსხმელი მარტო მოქმედებდა.

კიევში დივერსია მოხდა?!

კიევის ერთ-ერთი რაიონის საცხოვრებელ სახლში აფეთქება მოხდა. შედეგად სახლის ნაწილი ჩამოინგრა. მაშველები არ გამორიცხავენ, რომ სახლი შესაძლოა მთლიანად დაინგრეს, ამიტომ მოსახლეობის გამოყვანა და ევაკუაცია ძალზე ფრთხილად მიმდინარეობს. თანახმად ერთ-ერთი ვერსიისა, აფეთქება გაზის გაჟონვამ გამოიწვია. ამავე დროს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი სხვა ვერსიასაც არ გამორიცხავს.

– შესაძლოა მოხდა დივერსია და სახლი დამინირებული იყო! – თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ანსამბლ „დიელოს“ ხელმძღვანელი ამირან ებრალიძე გარდაიცვალა

ლეგენდარული ანსამბლის „დიელოს“ ხელმძღვანელი ამირან ებრალიძე 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა გაავრცელა:

– ქართულმა საესტრადო ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართული ესტრადის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჯაზის ფუძემდებელი და მომღერალი, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „დიელოს“ ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მომღერალი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ამირან ებრალიძე.

მან თავის ძმასთან, სოსო ებრალიძესთან ერთად ჩამოაყალიბა ყველასათვის საყვარელი ანსამბლი „დიელო“, „რომლის შემადგენლობაში იყო ამირან ებრალიძე, სოსო ებრალიძე, გოგი ლეონიძე და ვახტანგ კიკაბიძე.

ამირან ებრალიძეს 23 ივნისს ვაკის ყოფილი მე-9 საავადმყოფოს შენობაში მდებარე ანდრია პირველწოდებულის ეკლესიიდან უკანასკნელ გზაზე გააცილებენ.

ხატია სიჭინავა ონლაინ განათლების წინააღმდეგია

ტელეწამყვანი ხატია სიჭინავა ონლაინ განათლების წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ ბავშვებს ბავშვობას წაართმევენ და დააზომბებენ:

– არსებობს თუ არა საფრთხე, რომ ჩვენს შვილებს ბავშვობას წაართმევენ და დაზომბებენ კომპებთან! აძლევს თუ არა ბავშვს განათლებას ონლაინი საკმარისად? რატომ შეუკვეთეს ონლაინ წიგნები და რას გვიპირებენ? იქნებ გავერთიანდეთ და დავამთავროთ ეს ცირკი?! ისევ ჩვენი შვილების მომავლისთვის! რომლებიც სახლში უნდა გამოკეტონ და დაუავადონ თვალებიც და გონებაც! რა გეგმას ასრულებს მსოფლიო?! შეგვიძლია თუ არა წინააღმდეგობის გაწევა?!

„ბლექ სი არენაზე“ დაგეგმილი ღონისძიებები 2021 წლისთვის გადაიდო

„ბლექ სი არენაზე“ დაგეგმილი წლევანდელი ღონისძიებები მოიხსნა და მომავალი წლისთვის გადაიდო. ინფორმაცია ამის შესახებ საკონცერტო დარბაზის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს „ბლექ სი არენაზე“ დაგეგმილი ღონისძიებები 2021 წლის ზაფხულამდე გადაიდო.

თუ თქვენ უკვე შეიძინეთ აღნიშნული ღონისძიების ბილეთი, შეგიძლიათ თანხა დაიბრუნოთ ან ბილეთი მომავალი წლის კონცერტისთვის შეინახოთ. მათთვის, ვისაც ბილეთების დაბრუნება სურს, ჩვენს ვებგვერდზე სპეციალური ღილაკი უკვე გააქტიურდა და ბილეთების დაბრუნების სერვისით 20 სექტემბრის ჩათვლით შეგიძლიათ ისარგებლოთ. თუ მითითებულ პერიოდში ბილეთის თანხას არ დაიბრუნებთ, ეს ნიშნავს, რომ ბილეთს მომავალი წლის კონცერტისთვის იტოვებთ. „ბლექ სი არენას“ გუნდი 2021 წლის სეზონის დასაგეგმად ინტენსიურად მუშაობს და ახალი თარიღების შესახებ ინფორმაციას ძალიან მალე მოგაწვდით.

მიშო სულუხია მძიმე სენით დაავადებული მეზობლისთვის ბროწეულის ბაღს გააშენებს

მომღერალი მიშო სულუხია მძიმე სენით დაავადებული მეზობლისთვის ბროწეულის ბაღის გაშენებას აპირებს და ამისთვის საზოგადოებას გულითადი თხოვნით მიმართავს:

– ერთ ამბავში ჩაგრთავთ და ვინ იცის, იქნებ შეძლოთ რამით დახმარება...

ჩემს გვერდით ეზოში, ერთი სიკეთით სავსე ქალი ცხოვრობს და წლებია, მძიმე სენს მამაცურად ებრძვის და უმკლავდება. მთელი ბავშვობა მისი ყვარლიდან გამოგზავნილი ნობათით, ჩურჩხელებით და საგულდაგულოდ მოდუღებული გემრიელი თათარათი გადავიარე. პირველ სართულზე ფანჯარას რომ გააღებს, ჩემი სახლის ეზოსა და გაზონს უყურებს. ცოტა ხნის წინ მითხრა, რომ ბროწეულის ხის ყვავილი განსაკუთრებით უყვარს და მასში სხვაგვარ ემოციას იწვევს, დიდი ხანია ვერც მშობლიურ ყვარელში ახერხებს წასვლას და გაზაფხულით ტკბობას და, მოკლედ, ამ ნოსტალგიით აქვს გული სავსე.

რომ წარმოვიდგენ, რომ ადამიანი რაიმეთი შემიძლია გავაბედნიერო, სანამ ამ გეგმას ბოლომდე არ მივიყვან, ვერ მოვისვენებ.

ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი მიწის ნაკვეთზე, რომელიც მისი ფანჯრების წინ ჩაივლის, ბროწეულის ხეივანი გავაშენო და რამდენიმე ხე ერთად დავრგო, რომ გაზაფხულის დასაწყისიდან შემოდგომის ბოლომდე ბროწეულის წითელ და ლამაზ ყვავილებს უყუროს. ნაყოფს ბავშვები არ დაამწიფებენ, მაგრამ ყვავილები ხომ შეგვრჩება. ამ იდეის მთავარი სირთულე კი ის არის, რომ პაწაწინა ნერგების გაზრდას კიდევ წლები დასჭირდება და დრო არ იცდის.

თუ ამ ტექსტის შინაარსსაც კარგად ჩაწვდით, იმასაც მიხვდებით, როგორ დამეხმარებით, თუ მოზრდილი ზომის ბროწეულის ხეს, რომელიც კახეთში მრავლად არის და ასეთი ნაცნობი თქვენც შეიძლება გყავდეთ, ვისაც ეზოში უდგას და ერთ ცალს საჩუქრად დაგვითმობს. გადარგვის, ტრანსპორტირების და ტექნიკურ ხარჯებს, თავისთავად, მე ვუზრუნველყოფ. თქვენ ოღონდ გაიღეთ. თან ერთი ხე უკვე ვიშოვე, კიდევ რამდენიმე მინდა. გული მიგრძნობს, ამ საქმიდან რაღაც გამოვა, მთავარი მონდომებაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შენგელიამ ნახევარფინალის შანსი დაიტოვა, შერმადინი გამოეთიშა

ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლის შანსი დაკარგა გიორგი შერმადინის ტენერიფემ, რომელმაც ფინალური ტურნირის ზედიზედ მე-3 მატჩი წააგო და 6-გუნდიან ჯგუფში საუკეთესო 2 გუნდში მოხვედრის შანსი დაკარგა.

შეგახსენებთ, რომ კუნძულელებმა საწყისი თამაშები უნიკახასთანა (70:83) და თორნიკე შენგელიას ბასკონიასთან (72:79) წააგეს, ბოლოს კი, ბილბაოსაც ვერ გაუმკლავდნენ – 70:78.

ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 19 წუთში 13 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. შერმადინმა 7-დან 5 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 12-ს გაუტოლდა და მხოლოდ ამერიკელ უკანახაზელ ნიკ ზეისლოფტს ჩამორჩა, რომელმაც 6 სამქულიანი ჩააგდო და თავი 22 ქულას მოუყარა. ტენერიფე 3 წაგებით ა ჯგუფში ბოლო ადგილზე იმყოფება და ვალენსიაში მიმდინარე მინი-ტურნირზე კი კიდევ 2 მატჩი დარჩა ჩასატარებელი: ხუვენტუტთან და ბარსელონასთან.

ფინალურ ფაზაში პირველი მარცხი განიცადა თორნიკე შენგელიას ბასკონიამ. ვიტორიელთა მეტოქე ფავორიტი ბარსელონა გახლდათ, რომელთანაც შენგელიას გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში – 75:81 წააგო.

ბასკების ქართველი კაპიტანი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 32 წუთში 12 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. თოკომ 10-დან 5 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი ააცილა.ბასკონიას რიგებში საუკეთესო შეივონ შილდსი იყო, რომელმაც 6 სამქულიანი გამოიყენა და თავი 26 ქულას მოუყარა.

ბასკური კლუბი 2 მოგებითა და 1 მარცხით ჯგუფში მე-2 ადგილზეა და ნახევარფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებს. დიდი ალბათობით, გადამწყვეტი მალაგას უნიკახასთან მატჩი იქნება. ბასკონიელებს ხუვენტუტთანაც ელით თამაში.

კინი და სოლსკიაერი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა განახლებული პრემიერლიგის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს ტოტენჰემსა და მანჩესტერს (1:1) შორის. მანჩესტერელთა ყოფილმა კაპიტანმა, ამჟამინდელი მწვრთნელის, ოლე გუნარ სოლსკიაერის თანაგუნდელმა, როი კინმა, გაშვებული გოლისთვის მცველი ჰარი მაგუაიერი და მეკარე დავიდ დე ხეა სასტიკად გააკრიტიკა.

როი კინი:

– შოკში ვარ ამ გოლით! ფეხბურთს მრავალი წლის განმავლობაში ვუყურებ, მაგრამ თვალებს არ ვუჯერებდი, თუ როგორ გაატანინეს გოლი ტოტენჰემს. უბრალოდ, გაოცებული ვარ მაგუაიერით! გაკვირვებული ვარ, რომ ნაკრების ფეხბურთელს ასე თამაში შეუძლია, მაგრამ მეკარის მოქმედება? ეს არის გამოცდილი მეკარე, რომელიც საერთაშორისო დონეზე თამაშობს. უბრალოდ, შოკში ვარ! ოლეს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, შესვენების დროს გარკვეულ ცვლილებებს შევიტანდი და ზოგიერთ ფეხბურთელს შევცვლიდი, რომლებიც იმ მომენტში თამაშობდნენ. მეტიც, მატჩის შემდეგ მათ ავტობუსში არ ამოვუშვებდი. დაე, სახლში ტაქსით წასულიყვნენ. და ესენი არიან გამოცდილი ფეხბურთელები, ეროვნული გუნდის წევრები? მესმის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს თამაში გასაანალიზებელი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ თავიანთი საქმე. ჩვენ ოთხეულში მოხვედრას ვცდილობთ. არ მოიგოთ ჩემპიონატი, მაგრამ უბრალოდ მოხვდით ოთხეულში! უბრალოდ, შოკში ვარ, სიტყვა სიტყვით განადგურებული ვარ! მაგუაიერი და დე ხეა თავიანთ ამხანაგებს სირცხვილით არ უნდა უყურებდნენ. რა თქმა უნდა, ამ თამაშში იუნაიტედმა დაიმსახურა კარგი შედეგი. ასევე პატივი უნდა ვცეთ ტოტენჰემს, მათ „ფეხებზე ეკიდათ“ მოწინააღმდეგე, მაგრამ ეს იყო თამაში, რომელშიც იუნაიტედს არ უნდა მოეგო. მათ არ აქვთ გატანილი საკმარისი გოლები, ისინი უფრო მკვლელები უნდა იყვნენ.

სამაგიეროდ, კინმა შეაქო პოლ პოგბა, რომელსაც ბოლო პერიოდში სხვები ძალიან აკრიტიკებენ.

– პოგბას შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება, ის ნიჭიერი ბიჭია. მიზეზი, რომ ჩვენ მას ვაკრიტიკებთ, არის ის, რომ მის ნიჭს მხოლოდ ზოგიერთ მატჩში ვხედავთ და არა კვირიდან კვირამდე. თუ გინდა საუკეთესო ფეხბურთელად ჩაითვალო, მუდმივად სტაბილურად უნდა თამაშობდე, მაგრამ პოგბას ეს არ გამოსდიოდა. პოლისგან კიდევ უფრო მეტს ველოდებით...

ყოფილი თანაგუნდელის კრიტიკას ოლე გუნარ სოლსკიაერი გამოეხმაურა:

– იმედგაცრუებული ვარ, რომ მეტოქემ მატჩში შექმნილი პირველივე შესაძლებლობიდან გაიტანა. მაგრამ ბერგვინმა ძლიერად დაარტყა და ბურთი დიდი სისწრაფით გაფრინდა. როი ფანტასტიკური ნახევარმცველი იყო, ის ჩემი კარგი მეგობარია, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ის ამ შეტევას შეაჩერებდა. თუმცა, ეს აღარ არის მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, დე ხეა იმედგაცრუებულია გაშვებული გოლით, მაგრამ თუ დაინახეთ, ბურთი წავიდა ძალიან კარგად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოლიმპიური გუნდი ვარჯიშს მალე დაიწყებს

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ტოკიო 2020-ის საორგანიზაციო კომიტეტს შორის ინტერნეტშეხვედრა გაიმართა. სეოკ-ის მხრიდან მონაწილეობდნენ სპორტული დირექტორი გიორგი ესაკია და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი რუსუდან აფციაური, ტოკიო-2020-ის მხრიდან – რეგიონალური კოორდინატორი აკიჩიკა ტანიგუში. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ქართველ ოლიმპიელთა მზადებისა და ტოკიოს თამაშების ორგანიზატორთა უახლესი გეგმების შესახებ. ითქვა, რომ საქართველოს ოლიმპიური გუნდი აქამდე სახლის პირობებში ვარჯიშობდა, მალე კი სრულფასოვან საწვრთნელ პროცესში ჩაერთვება.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პანდემიით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, ტოკიო ინტენსიურად ემზადება 2021 წლისთვის გადავადებული ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ. ამჟამად 300-მდე სხვადასხვა კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები კონტრაქტების გასაფორმებლად, ასევე ადრინდელი კონტრაქტების განსაახლებლად. უკვე გარკვეულია, რომ საშეჯიბრო არენების 80 პროცენტი კვლავ ტოკიო 2020-ის განკარგულებაში რჩება, დანარჩენი ოლიმპიური ობიექტების საკითხი კი, ამჟამად განხილვის ფაზაშია.

ერთ თვეში გამოქვეყნდება ოლიმპიადის ახალ საშეჯიბრო განრიგი, ხოლო ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩატარდება ოლიმპიური მისიების ხელმძღვანელთა ელექტრონული სემინარი, სადაც დეტალურად განიხილება მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხები.

სეოკი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას გეგმავს, სადაც კოვიდ 19-ით შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საკითხები ყველაზე აქტუალური იქნება.

ფლიკი უკმაყოფილოა

მსოფლიო ნელ-ნელა ცდილობს კორონა ვირუსის პანდემიის პარალელურად ეტაპობრივად განაახლოს სხვადასხვა ღონისძიებები. უეფამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრები შეხვედრებს სექტემბრის დასაწყისში გამართავს, რასაც მიუხედავად ბაიერნის მთავარი მწვრთნელი, ჰანსი ფლიკის საკმაოდ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა.

ჰანს ფლიკი:

– ახლა უპრეცედენტო სიტუაციაში ვიმყოფებით, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს. მათ შეუძლიათ მითხრან, რომ ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, როგორ გაართვან თავი შექმნილ სიტუაციას, თუმცა ეს მხოლოდ თეორიაა მათთვის, ვინც საკუთარ თავს ხორცად განიხილავს. მოვა დრო, როდესაც ფეხბურთელების ორგანიზმი უბრალოდ გადაიწვება, ამიტომ მნიშვნელოვანია მოთამაშეების დასვენება. სწორედ ამ მიზეზით მივმართავ იოჰიმ ლიოვს, გაითვალისწინოს ეს მომენტი, როდესაც ზარების განხორციელებას დაიწყებს.

საქმე ის არის, რომ თუ „რეკორდმაისტერი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავა, გუნდისთვის მიმდინარე სეზონი 23 აგვისტომდე გახანგრძლივდება. გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ერთა ლიგის პირველი შეხვედრა 3

სექტემბერს ესპანეთთან უწევს. ამას ემატება გერმანიის თასის პირველი რაუნდი, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებშია დაგეგმილი.

სწორედ ამის გამო ნერვიულობს ფლიკი...

კორტზე კორონა აფეთქდა

როგორც კი კორონავირუსის პანდემიის გამო ჩოგბურთში რეგულაციები შემცირდა, მოწყენილმა ჩოგბურთელებმა მინი-ტურნირები დაიწყეს. უფრო სწორად, ნოვაკ ჯოკოვიჩმა ადრია ტურის მოწყობა ითავა და ტოპ-მეჩოგნეები მიიწვია....

13-14 და 20-21 ივნისს ბელგრადსა და ზადარში საგამოფენო ტურნირები გაიმართა, რომელიც საზოგადოებრივი კრიტიკის ქვეშ მოექცა, რადგან ჩოგბურთელები არცთუ კარგად იცავდნენ რეგულაციებს – არ იცავდნენ დისტანციას და ტრიბუნებზე მაყურებლები გვერდიგვერდ ისხდნენ.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ზადარის ტურნირის ფინალში, ერთმანეთს ანდრეი რუბლიოვი და ჯოკოვიჩი უნდა შეხვედროდნენ, რომლებმაც თავიანთ ჯგუფებში ყველა შეხვედრა მოიგეს. თუმცა, ფინალი არ ჩატარდა – მიზეზი კორონავირუსია....

ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი გამართა გრიგორი დიმიტროვმა, რომელიც 1:4, 1:4 (მატჩები ოთხსეტიანი იყო) დამარცხდა ბორნა ჩორიჩთან და შეჯიბრებიდან მოეხსნა. როგორც შემდეგ გაირკვა, დიმიტროვმა კორონავირუსზე დადებითი ტესტი აჩვენა.

მოგვიანებით კორონავირუსი უკვე ჩორიჩსაც აღმოაჩნდა და ჯოკოვიჩის ფიტნეს-მწვრთნელ მარკო პანინის.

ტესტირება ჯოკოვიჩსაც ეკუთვნის, რომელსაც ინფიცირებულთან კონტაქტი ჰქონდა, თუმცა ნოლემ ტესტირებაზე უარი განაცხადა და ხორვატიიდან ბელგრადში დაბრუნდა. მისი თქმით, ის თავს კარგად გრძნობს, არაფერი აწუხებს და ტესტირების საჭიროებას ვერ ხედავს.

ვნახოთ, შეიცვლის თუ არა აზრს ნოლე მწვრთნელის დაინფიცირების შემდეგ....

ჯოკოვიჩის მიერ ორგანიზებულ ტურნირებს უკვე არაერთი კოლეგა აკრიტიკებს. ტესტის ჩატარებაზე უარის შემდეგ კი, დამატებითი განრისხება გამოიწვია.

აღშფოთება გამოთქვეს კრის ევერტმა, ალიზ კორნემ და სხვებმა, ყველაზე მკვახე კი, სკანდალური გამონათქვამებით ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ნიკ კირიოსი იყო.

ნიკ კირიოსი:

– ამ საჩვენებელი ტურნირების ჩატარება იდიოტური გადაწყვეტილება იყო. ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ, თუმცა, სწორედ ასე ხდება, როდესაც რეგულაციებს არ იცავთ. ეს სახუმარო ამბავი არაა.

შედეგები

21 ივნისი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნიუკასლი-შეფილდი 3:0
ასტონ ვილა-ჩელსი 1:2
ევერტონი-ლივერპული 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.ლივერპული	30	27	2	1	66-21	81
2.სიტი	29	19	3	7	71-31	60
3.ლესტერი	30	16	6	8	59-29	54
4.ჩელსი	30	15	6	9	53-40	51
5.მანჩესტერი	30	12	10	8	45-31	46
6.ვულვზი	30	11	13	6	43-34	46
7.შეფილდი	30	11	11	8	30-28	44
8.ტოტენჰემი	30	11	9	10	48-41	42
9.კრ.პალასი	30	11	9	10	28-32	42
10.არსენალი	30	9	13	8	41-41	40
11.ბარნლი	29	11	6	12	34-40	39
12.ევერტონი	30	10	8	12	37-46	38
13.ნიუკასლი	30	10	8	12	28-41	38
14.საუთჰემპტონი	30	11	4	15	38-52	37
15.ბრაიტონი	30	7	11	12	34-41	32
16.უოტფორდი	30	6	10	14	28-45	28
17.ვესტ ჰემი	30	7	6	17	35-52	27
18.ბორნმუთი	30	7	6	17	29-49	27
19.ასტონ ვილა	30	7	5	18	35-58	26
20.ნორვიჩი	30	5	6	19	25-55	21

ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ლიდსი 2:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-ფიურტი 2:2
დარმშტადი-ვისბადენი 3:1
ზანდჰაუზენი-დინამო 0:1
კარლსრუე-არმინია 3:3
ნიურნბერგი-შტუტგარტი 0:6
ოსნაბრიუკი-კილი 4:1
ზ.პაული-რეგენსბურგი 1:1
ჰაიდენჰაიმი-ჰამბურგი 2:1
აუე-ჰანოვერი 2:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ალავესი 6:0
ვალენსია-ოსასუნა 2:0
სოსიედადი-რეალი 1:2

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	30	19	8	3	57-21	65
2.ბარსელონა	30	20	5	5	69-31	65
3.ატლეტიკო	30	13	13	4	38-22	52
4.სევილია	30	14	10	6	42-30	52
5.სეტტაფე	30	13	9	8	39-28	48
6.ვილიარეალი	30	14	5	11	47-38	47
7.სოსიედადი	30	14	5	11	47-38	47
8.ვალენსია	30	12	10	8	41-43	46
9.ბილბაო	30	10	12	8	33-26	42
10.გრანადა	30	12	6	12	37-36	42
11.ლევანტე	30	11	5	14	37-43	38
12.ოსასუნა	30	8	11	11	35-46	35
13.ალავესი	30	9	8	13	31-45	35
14.ბეტისი	30	8	10	12	40-48	34
15.ვალიადოლიდი	30	7	12	11	25-35	33
16.სელტა	30	6	12	12	28-35	30
17.ერიბარი	30	7	8	15	31-47	29
18.მალიორკა	30	7	5	18	29-50	26
19.ლეგანესი	30	5	9	16	23-44	24
20.ესპანიოლი	30	5	9	16	26-49	24

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მირანდესი-პონფერადინა 1:2
რასინგი-ტენერიფე 1:2
ალბასეტე-უესკა 2:2
კადისი-ალკორკონი 1:1
ფუენლაბრადა-ნუმანსია 2:0

იტალია. სერია ა

ატალანტა-სასუოლო 4:1
ინტერი-სამპდორია 2:1

სატუნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	26	20	3	3	50-24	63
2.ლაციო	26	19	5	2	60-23	62
3.ინტერი	26	17	6	3	51-25	57
4.ატალანტა	26	15	6	5	74-35	51
5.რომა	26	13	6	7	51-35	45
6.ნაპოლი	26	11	6	9	41-36	39
7.ვერონა	26	10	8	8	31-27	38
8.პარმა	26	10	6	10	33-32	36
9.მილანი	26	10	6	10	28-34	36
10.ბოლონია	26	9	7	10	38-42	34
11.სასუოლო	26	9	5	12	42-43	32
12.კალიარი	26	8	8	10	42-42	32
13.ფიორენტინა	26	7	9	10	32-36	30
14.უდინეზე	26	7	7	12	21-37	28
15.ტორინო	26	8	4	14	29-46	28
16.სამპდორია	26	7	5	14	29-46	26
17.ჯენოა	26	6	7	13	31-47	25
18.ლეჩე	26	6	7	13	34-56	25
19.სპალი	26	5	3	18	20-44	18
20.ბრეშა	26	4	4	18	22-49	16

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ბენევენტო 0:1
ასკოლი-პერუჯა 0:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ჟილ ვისენტე-ავეში 3:0

ხესეთი. პრემიერლიგა

უფა-ტამბოვი 2:1
ლოკომოტივი-ორენბურგი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუცერნი-ბაზელი 2:1
სერვეტი-ლუგანო 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ჰარტბერგი 0:1
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი 2:2
შტურმი-ლინცერი 0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი 3:0
ასტერასი-ატრომიტოსი 1:1
ქსანთი-პანეთოლიკოსი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ფენერბახჩე 2:0
გალათასარაი-გაზიანთები 3:3
ქონია-სივასი 2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-იაბლონეცი 2:0
პოგონი-ლეხია 0:1
კრაკოვია-იაგელონია 1:2
ლეგია-სლასკი 2:0

ლეგიას ორივე გოლი ვაკო გვილიამ გაიტანა

უესაინა. პრემიერლიგა

დესნა-ზორია 1:2

დანია. სუპერლიგა

ბრონდბიუ-კოპენჰაგენი 1:1
მიდტიულანდი-ორხუსი 3:4
სილკებორგი-სონდერიისკე 1:2
ესბიერგი-ჰობრო 1:3

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ვარბერგი 2:2
ნორჩიოპინგი-დიურგარდენი 3:0
ფალკენბერგი-კალმარი 0:2
ჰამარბი-აიკი 0:2
იორებრო-ესტერსტუნდი 0:0

ნოხეგეია. ელიტსერია

ბოდო გლიმდტი-ჰაუგესუნდი 6:1
ვალერენგა-სტაბეკი 2:2
კრისტიანსუნდი-ალესუნდი 7:2
სანდერფიორდი-სტარტი 2:2
სტრომგოდსეტი-ოდგრელანდი ... 1:0
ბრანი-ვიკინგი 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 2. ბრიტანელი ველოსიპედისტი „ტურდე-ფრანსის“ სამგზის გამარჯვებული; 3. რომელიმე ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება; 4. მათემატიკური ორწევრი; 5. ვენეციური ნავი; 6. მსხვილი სოსისი; 11. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 14. ვაზის მავნებელი მწერი; 15. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეების ვალდებულებებს; 17. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 18. ლიტერატურული თამაში, წინასწარ მოცემული რითმებით იუმორისტული ლექსების შეთხზვა; 19. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი.

თარაზულად: 7. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 8. მრავალი ფერის გამოყენება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 12. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსაკვლევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 14. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 16. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 18. ტბა უნგრეთში; 20. ძველებური სანათი მოწყობილობა; 21. სამჭედლო იარაღი; 22. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება; 23. მტკნარი წყლის დიდი ზომის თევზი; 24. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გლისერი; 2. ტიპიკონი; 3. ფეტელი; 4. „ტოსკა“; 5. მინისტრი; 8. ფოლკლორი; 12. დუმა; 13. ფიტარეთი; 14. პირატი; 16. ბაჯაღლო; 18. ლობიო; 20. პერუ.

თარაზულად: 6. ღლიღვები; 7. სტეტსონი; 8. ფინიკი; 9. კენზო; 10. მონოლითი; 11. გარდენერი; 15. ჰიპერტონია; 17. „მალაგა“; 19. ტრიპიტაკა; 21. „ვედრება“; 22. ციტოლოგია; 23. მურილიო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პალერმო; 2. თხემი; 3. პარანოია; 4. სავანა; 5. ვერსაჩე; 6. სახიობა; 11. შაორი; 13. ოპერეტა; 14. ბონისტიკა; 15. დინოზავრი; 17. იადონი; 18. პურადი; 19. დოხა.

თარაზულად: 7. „შალახო“; 8. „ნაცარქექია“; 9. ბეშუმი; 10. „ბარახასი“; 12. მონოგრაფია; 14. ბლენდა; 15. ნიველირი; 18. პანსიონი; 20. ტრასა; 21. „გზა“; 22. კოსტიოლი; 23. შოვი; 24. კარალიოკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0385

ევრო — 3.4040

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7629

100 რუსული რუბლი — 4.3743

ამინდის პროგნოზი 23 ივნისისათვის

„მასტერშეფიდან“ ნინი სტურუა გაუშვეს

კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ საკონკურსო ტურიდან ჟიურიმ ნინი სტურუა გაუშვა.

ლევან კობიაშვილის, კონსტანტინე თედელურისა და ლუკა ნაჭყებიას გადაწყვეტილებით, ამ საკონკურსო ტურში საუკეთესო კერძი ზურა ხოკერაშვილმა მოამზადა. სწორედ მან დაიმსახურა იმუნიტეტი და სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ოთახში ნინიკო ღამბაშიძეც წაიყოლა.

დარჩენილი კონკურსანტებიდან კი წინსაფრის მოხსნა და შოუს დატოვება ნინი სტურუას მოუწია.

საქართველოს დროშა ალექსანდრ სირადეკიანის ფეხსაცმლის კოლექციაშია

რუსი დიზაინერის ალექსანდრ სირადეკიანის ფეხსაცმლის უახლესი კოლექცია საქართველოს დროშის შთაგონებით შექმნილი ნიმუშებით არის წარმოდგენილი.

ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ფოტოები დიზაინერმა საკუთარ ინსტაგრამზე გაავრცელა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ალექსანდრ სირადეკიანმა ფეხსაცმლის ახალი კოლექცია საქართველოს დროშის გარდა, ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის, იტალიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების დროშების გამოყენებითაც შექმნა.

ალექსანდრ სირადეკიანი რუსი დიზაინერია, რომელსაც სომხური წარმომავლობა აქვს. იგი თბილისში დაიბადა, გაიზარდა და სწავლობდა 1997 წლამდე. შემდეგ კი რუსეთში საცხოვრებლად წავიდა და დღემდე იქ მოღვაწეობს.

ფორმულა კრეატივი ახალ სერიალს შემოგთავაზებს

ფორმულა კრეატივი და „ჩემი ცოლის დაქალების“ შემქმნელი გუნდი სულ მალე მაყურებელს ახალ ქართულ სერიალს შესთავაზებს.

„თესეა“ – ასე ეწოდება სერიალს, რომლის სარეკლამო ვიდეოც ინტერნეტში უკვე გავრცელდა.

როგორც მიშა მშვილდაძე აცხადებს, „თესეას“ ნახვა ტელეკომპანია „ფორმულაზე“ მაყურებელს ძალიან მალე შეეძლება.

გიორგი კეკელიძე და ბესიკ ხარანაული არტ-გომურს მოაწყობენ



ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე და მწერალი ბესიკ ხარანაული სულ მალე ერთობლივ ჩანაფიქრს განახორციელებენ.

იდეა გიორგი კეკელიძემ მას შემდეგ გააჟღერა, რაც ბესიკ ხარანაულს თიანეთში ესტუმრა:

– თიანეთში, ლიშოში ბესიკ ხარანაულს ვეწვიე. დიდი გეგმები გვაქვს – სოფელში არტ-გომურის მოწყობა და ლიტერატურულ სახელოსნოდ ქცევა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 ივნისისათვის

ფერძი – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **ღრიანკალი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

პატარა ბიჭს ექიმი ეკითხება:

– აბა, მითხარი, რამდენი ფეხი აქვს კატას?

– ოთხი!

– და რამდენი ყური აქვს?

– ორი!

– თვალი რამდენი აქვს?

– ორი!

– და კუდი რამდენი აქვს?

ბავშვი დედას მიუტრიალდა და ეუბნება:

– დედა, ამ გამოშტერებულს კატა არ ჰყავს ნანახი?

•••

ერთი პატიმარი მეორეს ეკითხება:

– რისთვის ზიხარ?

– ცოლს სხვა კაცთან შევუსწარი და ორივე კარგად ვუჟეჟე.

– მერე, მაგისთვის დაგიჭირეს?

– არა, ბინა შემეშალა, სხვისი ცოლი აღმოჩნდა თავის ქმართან...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეძახის:

– მოდით ჩქარა, თქვენ ხომ პროფესორი ხართ, ლამარა ბებია ცუდადაა.

– მაპატიეთ, მაგრამ მე არქეოლოგიის პროფესორი ვარ!

– დიდი ხანია, არც ლამარა ბებიაა 18 წლის...

•••

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ის თუ მაინც გახსოვს, როდის გავიცანით ერთმანეთი?

– მაგას რა დამავიწყებს, პარასკევი იყო, 13 რიცხვი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მესი: „ჩემპიონობის შანსი ისევ გვაქვს“



ბარსელონას კაპიტანმა ლიონელ მესიმ საკუთარი გუნდის საჩემპიონო შანსებზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას კიდევ აქვს შესაძლებლობა, რომ რეალს გაასწროს, თუმცა ეს იოლი არ იქნება. ბარსელონას და რეალს ერთნაირი ქულები აქვთ, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის გამო რეალი ლიდერობს სატურნირო ცხრილს:

– რეალმა გაგვასწრო და ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ წინ კიდევ არის შეხვედრები და შეგვიძლია სიტუაცია გამოვასწოროთ, თუმცა მხოლოდ ჩვენს თავზე დამოკიდებულები არ ვიქნებით. მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ.



პოლ პოგბა: „ჩემს შესაძლებლობებს ყველას დავუმტკიცებ“

მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ის ბევრს შრომობს და მალე ეს მოედანზეც გამოჩნდება. პოგბას აზრით, ზოგჯერ მას უსამართლოდ აკრიტიკებენ და ეს გამაღიზიანებელია:

– არის მომენტები, როდესაც კრიტიკას არ ვიმსახურებ, თუმცა ყველაფრის ჩემთვის დაბრალება მოდაში შემოვიდა. ბოლო პერიოდში ბევრს ვმუშაობდი და მალე ყველას დავუმტკიცებ ჩემს შესაძლებლობებს. მინდა, რომ მანჩესტერთან ერთად ტიტულები მოვიგო.

გვარდიოლა: „სანეს გარდა ბევრი ძლიერი ფეხბურთელი გვყავს“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ლეროი სანეს წასვლა დიდი დანაკარგი არ იქნება, რადგან სიტის სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს. სანე დიდი ალბათობით ზაფხულში მიუნხენის ბაიერნს შეუერთდება.

– ლეროი სანეს წასვლა სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ ჩვენ საკმარისად ბევრი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც მის არყოფნას არ გვაგრძნობინებენ. თუ სანე წავიდა, მას მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ, – განაცხადა გვარდიოლამ.

მამაკაცმა ძაღლი ალიგატორისგან გადაარჩინა და შურისძიებით დაემუქრა

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა დაიფიცა, რომ შურს იძიებს ოთხმეტრიან ალიგატორზე, რომელმაც მისი ძაღლი დაასახიჩრა. ტრენტ ტვედეილი და მისი ძაღლი ლოკი სახიფათო რეპტილიას ფერმაში სეირნობის დროს გადააწყდნენ. ალიგატორმა ძაღლს პირი იმ დროს სტაცა, როდესაც მან წვიმების შემდეგ ნაპირებიდან გადმოსულ მდინარესთან მიირბინა. მამაკაცი წამითაც არ დაფიქრებულა, ისე მივარდა მტაცებლის ყბებისგან საყვარელი ცხოველის გამოსახსნელად.

– მე მას საყელურზე მოვქაჩე, მაგრამ რაღაც თოკის გადაწევის შეჯიბრის მსგავსი გამოვიდა, ვინაიდან ალიგატორს მისთვის პირის გაშვება არ სურდა, – ყვება მამაკაცი, – მაშინ საყელურს ხელი გავუშვი, მუხლებამდე წყალში შევედი და ალიგატორს თავში ჩავცხე. მანამდე ვურტყამდი, სანამ ჩემ ძაღლს თავი არ დაანებებ.

თავად ტვედეილი მსუბუქი ნაკაწრებით გადარჩა, ხოლო მისმა ძაღლმა კინაღამ წინა კიდური დაკარგა.

– როდესაც წყლიდან ამოვიყვანე, ძვალი მოუჩანდა და თათი ტყავზე ეკიდა, – იხსენებს ამერიკელი. ვეტერინარებმა ძაღლს ფეხი მიაკერეს, მაგრამ მისი ფუნქციონირების აღდგენის იმედს არ იძლევიან.

ტვედეილი ამტკიცებს, რომ არ მოისვენებს მანამ, სანამ ალიგატორს არ დაიჭერს. მან ფლორიდის შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დახმარებით რეპტილიის დასაჭერად მდინარეზე ფერმასთან ხაფანგი დადგა.

საცვლებში გამოწყობილმა მოდელმა დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დაუკრა

იაპონელმა მოდელმა იუკი ოსაკიმ ტანსაცმელი გაიხადა, საცვლების ამარა დარჩა და დასარტყმელ ინსტრუმენტებზე სხვადასხვა ჰიტები შეასრულა.

32 წლის მოდელმა ოსაკიმ ჟურნალისტებს უამბო, რომ დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დაკვრა სკოლის უფროს კლასებში ყოფნის დროს ისწავლა. არც ისე დიდი ხანია, რაც მუსიკალურ ჯგუფ Little Lilith-ს შეუერთდა და ასევე იუთუბიზე საკუთარი მუსიკალური რგოლების ატვირთვა დაიწყო. იაპონელ მოდელს სურათების მაქმანებიან საცვლებში გადაღება უყვარს, საკუთარი ფიგურის და დაკვრის ხელოვნების დემონსტრირებისთვის.

მის რეპერტუარში სხვადასხვა მუსიკალური ნომრების გარდა შესულია როკ-ჯგუფ Radwimps-ს სიმღერა ძენზენზენსე, რომელიც პოპულარულ ანიმაციურ ფილმში „შენი სახელი“ სრულდება.

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 2. გარკვეული წესით შედგენილი წიგნების, სურათების სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 3. რეგიონი კახეთში; 4. სქელი ქაღალდი; 5. ნადირისგან დამცავი, ძაღლის ეკლიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთ-დამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 16. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 18. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში.

თარაზულად: 1. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 9. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 10. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 11. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 19. ქალაქის თავი ჩეხეთში; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის, ხილის წვენების გაზავება ნახშირმჟავა აირით; 23. ქართული რადიო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა